ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 9 აგვისტო, 2022 | №155 (8933) | ფასი: 80 თეთრი

გვ.5

კანისა და ვენერიულ დაავადებათა დისპანსერის დირექტორის დაჭრის საქმეზე დაკავებულ ექიმს ბრალი წარუდგინეს

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

გვ.5

„მიხეილ სააკაშვილს არ გაუკეთებია განცხადება, რომ ქართული პოლიტიკიდან გადის“

გვ.2

ლელა ჯეჯელავა: „ყოველ წუთს შეიძლება მოხდეს ისეთი დეტონაცია, რომ შიდა პოლიტიკური სიტუაცია სრულიად შეცვალოს“

„ნაკლებად საინტერესოა, როგორ შეასრულებენ ოპოზიცია და ხელისუფლება დავალებას. მთავარია, ქართველმა ხალხმა ევროკავშირის დავალება სწორად შეაფასოს“

„ომის დაწყების თარიღზე კამათი დიდი სისულელეა“

გვ.3

გურამ ვახტანგაშვილი: „ყველამ უნდა ვილოცოთ, რომ უკრაინამ არ წააგოს, ჩვენ კი უნდა მოვემზადოთ“

„რუსულ ბუნებას კარგად ვიცნობ. ეგენი ივნისში, ივლისსა და აგვისტოში ისვენებენ. სკოლა რომ იწყება, სექტემბერში, მასობრივად ბრუნდებიან, რომ ბავშვები სკოლაში წაიყვანონ. თუ სექტემბერში ისევ მასობრივად დაიწყეს შემოსვლა, 100-200-300 ათასი კაცი თუ შემოვიდა, რა გარანტია გვაქვს, რომ რუსი აქეთ არ წამოვა“

გვ.3

რუსეთს დაგეგმილი აქვს ბელარუსიდან 12 ათასი ტონა სამხედრო დანიშნულების ტვირთის შეტანა უკრაინაში

უკრაინელი სამხედრო ექსპერტი: „უკრაინის არმიამ მტერს ინიციატივა ჩამოართვა“

ეროვნული ბანკი მოქალაქეებს აფრთხილებს

გვ.4

გვ.4

როგორ შეიცვალა საწვავის ფასები საქართველოში რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ

ირაკლი ღარიბაშვილი: „უდიდესი ტრაგედია გამოვიარეთ აგვისტოს ომის დღეებში, ძალიან ბევრი ადამიანი, ჩვენი თანამოქალაქე, გმირი დავკარგეთ“

გვ.2

2 ჩინეთის კაშგარი ევროპას საქართველოს რკინიგზით დაუკავშირდება

5 თბილისში უცხოელ სტუდენტებს სახლში 5 შეიარაღებული პირი შეუვარდა

6 ოლაფ შოლცი: „წინ რთული თვეები გველის“

6 მამაკაცმა, რომელიც დღეში 12 ბუტერბროდს ჭამდა, 127 კილოგრამი დაიკლო

1993230720223

„მიხეილ სააკაშვილს არ გაუკეთებია განცხადება, რომ ქართული პოლიტიკიდან გადის“

ლელა ჯეჯელავა: „ყოველ წუთს შეიძლება მოხდეს ისეთი დეტონაცია, რომ შიდა პოლიტიკური სიტუაცია სრულიად შეცვალოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

– ქალბატონო ლელა, 14 წელი გავიდა 2008 წლის აგვისტოს ომიდან და ვისმენთ შეფასებებს, რომ დღესაც ძალიან სახიფათო სიტუაციაა, არანაკლებ საშიში, რაც იყო 14 წლის წინ. როგორია თქვენი შეფასებები, რა პოლიტიკა აირჩია ხელისუფლებამ რუსეთთან მიმართებით, რა ხდება, რამდენად ფეთქებადსაშიში ვითარებაა?

– რასაკვირველია, რისკები დღეს ძალიან მაღალია და ეს რისკები მაღალია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის, რადგან ნებისმიერ წუთს რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს ყველა ის მექანიზმი, რომლებიც კიდევ უფრო მეტად დაძაბავს სიტუაციას მთელ მსოფლიოში. მოგეხსენებათ, ძალიან ბევრს საუბრობენ ბირთვული იარაღის გამოყენებაზე რუსეთში, თუმცაღა, მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ცივილიზებულ კაცობრიობას აქვს შესაძლებლობა, საქმე აქამდე არ მიიყვანოს.

– საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებაზე რას იტყვით?

– რაც შეეხება რისკებს საქართველოსთვის, ბუნებრივია, ეს რისკები ჩვენთვისაც კვლავ ძალიან მაღალი რჩება, თუმცა დღეს ისე აეწყო საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურა, რომ მთელი მსოფლიოს მომავალი ძირითადად დამოკიდებულია უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობაზე. უკრაინას კაცობრიობის წინაშე აქვს გრანდიოზული მისია, რომ შეაკავოს და დაამარცხოს ბოროტება, რომელსაც არაფერი ჰყოფნის დედამიწის ზურგზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არის ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა რესურსებით, ტერიტორიებით, თუნდაც ადამიანური რესურსით, მას არაფერი არ აკმაყოფილებს. ქვეყანა, რომელიც სიღატაკეში იხრჩობა, ამხელა რესურსების პატრონი, კვლავ სხვის მიწებს ეპატრონება. ფაქტია, რომ ამგვარი მიდგომა უნდა დასრულდეს საერთაშორისო პოლიტიკაში და ახლა უკრაინაში აქვთ ეს განსაკუთრებული მისია.

– რამდენად იაზრებს ამ ყველაფერს ჩვენი ხელისუფლება?

– ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა გაიაზროს, როგორი იქნება მოვლენათა განვითარება და შედეგები. უკვე საბრძოლო მოქმედებების თეატრი გვაჩვენებს, რომ უკრაინელები ნელ-ნელა გადადიან კონტრშეტევაზე და რუსებს სულ უფრო და უფრო უჭირთ იმის კვალდაკვალ, რომ დასავლეთი ძალიან სერიოზულ შეიარაღებას აწვდის უკრაინას. აქ ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი, დასავლურ შეიარაღებაზე უფრო მნიშვნელოვანი, სადაზვერვო სამსახურების დახმარებაზე უფრო მნიშვნელოვანი გახლავთ თავად უკრაინელი ხალხის უმტკიცესი ნება, რომ მათ აქვთ სურვილი, იბრძოლონ საკუთარი თავისუფლებისათვის, საკუთარი თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობისათვის. ეს არის საუკეთესო მაგალითი თანამედროვე მსოფლიოში იმ ღირებულებათა სისტემის დაბრუნებისა, რომელიც თითქოს მივიწყებული იყო.

– ქალბატონო ლელა, გამუდმებით ისმის კითხვა ჩვენი ხელისუფლების მისამართით: ეს არის შიში, ზედმეტი სიფრთხილე თუ რუსული პოლიტიკის გატარება? თქვენი შეფასება როგორია?

– დღეს ძალიან ძნელია, შეაფასო ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა და ორიენტირები. ეს არ არის არც სიფრთხილე, არც პრაგმატული პოლიტიკა, არც რისკების შეფასების გათვალისწინებული მიდგომები. ეს არის, უბრალოდ, უთავმოყვარეო პოლიტიკა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი ხელისუფლება არის რუსეთის ხელისუფლების ნების აღმსრულებელი. ასე რომ, გარდა ჩვენი ტერიტორიების ოკუპირებისა, რომელიც რეალურად წაგვართვა რუსეთმა, მან 2012 წელს ამ ხელისუფლებით გაგვიკეთა ოკუპაცია და ახლა ჩვენი ამოცანაა, საქართველოს დეოკუპაცია დავიწყოთ ამ ხელისუფლებისგან განთავისუფლებით. ჩვენი ამოცანაა, სწორად შევაფასოთ რისკები, საერთაშორისო პოლიტიკური კონტექსტი, ჩვენი საკუთარი რესურსი და შესაძლებლობები და ასე დავიწყოთ საქართველოს დეოკუპაციის პროცესი სწორედ კოლაბორაციონალისტი ხელისუფლებისგან განთავისუფლებით!

– რას იტყვით რუსი მოსახლეობის ასეთ მასობრივ შემოსვლაზე? რამდენად სახიფათო სიტუაცია შეიძლება შეიქმნას? არაერთი შეფასება მოვისმინეთ პროვოკაციებსა და მსგავს ქმედებებზე. რამდენად საშიში ვითარებაა?

– რასაკვირველია, რისკები არსებობს. ეს რისკები ძალიან მაღალია. ახლა რთულია პროგნოზირება, თუ რა ტიპის პროვოკაცია შეიძლება მოხდეს ან როგორ განვითარდება პროცესები, თუმცა ბევრი რამე მაინც იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად აღმოაჩნდება ქართველ ხალხს ნება, ასევე თავმოყვარეობა და სახელმწიფოებრივი მიდგომა, რომ სწორად შეაფასოს და სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების ამ კოლაბორაციონალისტურ პოლიტიკას. გარდა ამისა, ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული საერთაშორისო კონტექსტსა და უკრაინაში მოვლენათა განვითარების ლოგიკაზე.

– შიდა პოლიტიკურ პროცესებს როგორ აფასებთ? საკმაოდ რთული საშინაო დავალება აქვთ ხელისუფლებასა და მთლიანად პოლიტიკურ სპექტრს დასავლეთიდან მიღებული, თუმცა ვხედავთ, რაც ხდება, ოპოზიცია ცალკე მუშაობს თავისთვის, ხელისუფლება – ცალკე. ეს ხომ არ გახდება იმის მიზეზი, რომ კვლავ გადაბრალების პოლიტიკის მომსწრენი გავხდეთ?

– მე უკვე ნაკლებად მაინტერესებს და მართლაც ნაკლებად არის საინტერესო, როგორ შეასრულებენ ოპოზიცია და ხელისუფლება დავალებას. მთავარია, რომ ქართველმა ხალხმა სწორად შეაფასოს დავალება, რომელიც მას აქვს მიცემული ევროკავშირისა და ზოგადად ცივილიზებული დასავლეთისაგან. ეს დავალება არის ძალიან ნათელი, განთავისუფლდეს ეს ქვეყანა იმ ხელისუფლებისაგან, რომელიც ხელს უშლის საქართველოს ევროპულ ოჯახში დამკვიდრებას. ძალიან მკაფიო დავალება აქვს ქართველ ხალხს. იმის მიუხედავად, ოპოზიცია და ხელისუფლება როგორ გართმევენ თავს, ქართველმა საზოგადოებამ ამ დავალებას თავი უნდა გაართვას და, დარწმუნებული ვარ, გაართმევს კიდეც.

– 2024-მდე ელით ამ ცვლილებების დაწყებას?

– ყოველმა წუთმა შეიძლება გამოიწვიოს ისეთი მასშტაბის დეტონაცია, რომ სრულიად შეცვალოს შიდა პოლიტიკური კონიუნქტურა. ასე რომ, ამას ველოდები. მოვლენათა განვითარების ლოგიკა, უბრალოდ, მაფიქრებინებს, რომ აქ პროცესები ძალიან დაჩქარდება.

– რა შეიძლება გახდეს ამის მიზეზი?

– მიზეზი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოვლენა, რომელიც პროცესების ფორსირებას გამოიწვევს. ჩვენ წარმოდგენაც კი არ გვქონდა, რომ გავრილოვის თემა შესაძლოა გამხდარიყო ძალიან სერიოზული მოვლენების დეტონატორი. ასე რომ, ჩვენი ხელისუფლება ან ეს უკონტროლოდ შემოსული მასა რუსეთიდან რას მოიმოქმედებენ და რა ტიპის მოვლენები შეიძლება განვითარდეს, ახლა ამის პროგნოზირება ძალიან რთულია.

– ქალბატონო ლელა, რას ფიქრობთ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებაზე ქართული პოლიტიკიდან გასვლის შესახებ? მოვისმინეთ შეფასებები, რომ ნაცმოძრაობიდან მისი დისტანცირება ძალიან დააზიანებს ამ პარტიას. რას იტყვით თქვენ?

– მე არ მომისმენია მიხეილ სააკაშვილის განცხადება ქართული პოლიტიკიდან გასვლის შესახებ.

– ადვოკატებისგან მოვისმინეთ ეს ყველაფერი.

– მე ამ შეფასებას გავაკეთებ, როდესაც მოვისმენ ამას მიხეილ სააკაშვილისგან. იმდენი განსხვავებული მოსაზრება მოვისმინე ადვოკატებისაგან, ოჯახის წევრებისგან და ასე შემდეგ, რომ ნამდვილად არ მინდა ამ თემასთან დაკავშირებით სპეკულაციებში შესვლა, მით უმეტეს, საქმე ეხება არა რიგით პოლიტიკოსს, არამედ საქართველოს მესამე პრეზიდენტს. ამაზე შეფასებას გავაკეთებ მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვისმენ მის განცხადებას. არ ვიცი, ახლა რა ხდება. შესაძლოა, ეს ყველაფერი კულუარული გარიგებების ნაწილიც იყოს.

– შესაძლოა, რომ ხელისუფლება სააკაშვილთან ადვოკატების მეშვეობით ვაჭრობს?

– ყველაფერი შესაძლებელია. არ ვიცით, რეალურად რა ხდება და არ გვეცოდინება მანამ, სანამ თავად მიხეილ სააკაშვილი არ გააკეთებს განცხადებას.

ირაკლი ღარიბაშვილი: „უდიდესი ტრაგედია გამოვიარეთ აგვისტოს ომის დღეებში, ძალიან ბევრი ადამიანი, ჩვენი თანამოქალაქე, გმირი დავკარგეთ“

„კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ უდიდესი ტრაგედია გამოვიარეთ აგვისტოს ომის დღეებში, ძალიან ბევრი ადამიანი, ჩვენი თანამოქალაქე, გმირი დავკარგეთ, ჩვენმა სამხედროებმა გვაჩვენეს მართლაც სამაგალითო გმირობა, თავდადება, თავგანწირვა“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მუხათგვერდში განაცხადა, სადაც რუსეთ-საქართველოს ომის 14 წლისთავთან დაკავშირებით დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

მთავრობის მეთაურის თქმით, მათ ღირსეულად დაიცვეს, თავი შესწირეს სამშობლოს და ძალიან ბევრი თანამოქალაქე გადაარჩინეს.

– პირველ რიგში, მინდა, ჩემი და ჩვენი მთავრობის სახელით კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩვენი უდიდესი მოკრძალება და კიდევ ერთხელ გამოვუცხადო მწუხარება ჩვენი გარდაცვლილი გმირების, ჩვენი სამხედროებისა და არა მხოლოდ სამხედროების, ჩვენი მოქალაქეების ოჯახებს, ჩვენი გმირების ნათელ ხსოვნას. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ უდიდესი ტრაგედია გამოვიარეთ აგვისტოს ომის დღეებში, ძალიან ბევრი ადამიანი, ჩვენი თანამოქალაქე, გმირი დავკარგეთ. ჩვენმა სამხედროებმა გვაჩვენეს მართლაც სამაგალითო გმირობა, თავდადება, თავგანწირვა. მათ ღირსეულად დაიცვეს ჩვენი სამშობლო, თავი შესწირეს ჩვენს სამშობლოს და ძალიან ბევრი ჩვენი თანამოქალაქე გადაარჩინეს.

ახლა კიდევ ერთხელ მოვისმინეთ მათი რეალური ისტორიები, გმირების ისტორიები და გმირობის მაგალითები, რომლებიც ჩვენმა გმირმა სამხედროებმა ჩაიდინეს. კიდევ ერთხელ ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე და მინდა ვუსურვო ჩვენს ქვეყანას მშვიდობა, პირველ რიგში და ჩვენი ქვეყნის გაერთიანება, გამთლიანება, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილი მუხათგვერდის სასაფლაოზე დაღუპული ჯარისკაცების ოჯახის წევრებს შეხვდა და მათ მიუსამძიმრა.

პრემიერ-მინისტრთან ერთად მუხათგვერდის სასაფლაოზე იმყოფებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

პრემიერი: „სააკაშვილის უგუნურმა პოლიტიკამ, მისმა გაუთვლელმა, პროვოკაციულმა ნაბიჯებმა განაპირობა ის, რომ ტრაგიკული ომი თავიდან ვერ აიცილეს“

„თქვენი ტელევიზიების დე ფაქტო მფლობელის, ყოფილი პრეზიდენტის, სააკაშვილის უგუნურმა პოლიტიკამ, მისმა გაუთვლელმა, პროვოკაციულმა ნაბიჯებმა განაპირობა ის, რომ მათ თავიდან ვერ აიცილეს ეს ტრაგიკული ომი. ეს იყო სააკაშვილისა და მისი გუნდის ღალატი. მათ გაწირეს ჩვენი ქვეყანა და გაწირეს ჩვენი ხალხი, გაწირეს ჩვენი სამხედროები“ – ამის შესახებ საქართველოს მთავრობის მეთაურმა მუხათგვერდში განაცხადა, სადაც რუსეთ-საქართველოს ომის 14 წლისთავთან დაკავშირებით დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

პრემიერის თქმით, მათ გაწირეს ქვეყანა, ხალხი და სამხედროები.

– მათ გაწირეს ჩვენი ქვეყანა და გაწირეს ჩვენი ხალხი, გაწირეს ჩვენი სამხედროები. მე კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა შემდეგი, რომ ეს არის ჩვეულებრივი პროვოკაციული კითხვები. მინდა გთხოვოთ, რომ პატივი მიაგოთ გარდაცვლილი გმირების ხსოვნას, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

ჩინეთის კაშგარი ევროპას საქართველოს რკინიგზით დაუკავშირდება

ჩინეთის ქალაქ კაშგარიდან ევროპაში საქართველოს რკინიგზის გავლით საქონლის კონტეინერებით ტრანსპორტირების შესახებ საპილოტე პროექტი შეიქმნა. ინფორმაციას სააგენტო Trend-ი აზერბაიჯანის რკინიგზის შვილობილი კომპანია ADY Container-ზე დაყრდნობით ავრცელებს. კომპანიის განცხადებაში ნათქვამია, რომ „უკვე მომზადდა ციფრული პლატფორმის საცდელი ვერსია, რომელიც დერეფნის გასწვრივ ტვირთების გადაზიდვის ეფექტურობას გაზრდის და ოპერაციებს ოპტიმიზაციას გაუწევს. სატესტო რეჟიმში მიმდინარეობს ამ სფეროში სპეციალიზებული კომპანიაUNISER-ის მიერ შემუშავებული პლატფორმის დანერგვა“.

საპილოტე პროექტზე ექვსი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ბაქოში იმსჯელეს, სადაც აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის საერთაშორისო მულტიმოდალური მარშრუტის მონაწილე ქვეყნების რკინიგზის ოპერატორთა შეხვედრა გაიმართა. პროექტის მიხედვით, ჩინეთის ქალაქ კაშგარიდან ტვირთი ყირგიზეთი-უზბეკეთი-თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის რკინიგზით ევროპას მიეწოდება.

შეხვედრაზე აზერბაიჯანის რკინიგზის თავმჯდომარის მოადგილე იგბალ ჰუსეინოვმა, მარშრუტის მიმზიდველობის გაზრდის მიზნით, მონაწილე ქვეყნების სარკინიგზო დეპარტამენტების ერთობლივ თანამშრომლობაზე ისაუბრა.

„აუცილებელია ძალისხმევის გაერთიანება ამ მარშრუტზე ტვირთების მიზიდვისა და წარმოქმნილი პრობლემების სწრაფი გადაწყვეტის მიმართულებით“, – აცხადებს ჰუსეინოვი.

ამასთან, შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია სპეციალური ვებგვერდის შექმნაზე, რომელზეც აღნიშნული მარშრუტის შესახებ ინფორმაცია განთავსდება. ასევე, მხარეებმა ხაზი გაუსვეს ერთობლივი მონაწილეობით კონსორციუმის შექმნის აუცილებლობას, რომელიც მარშრუტის ეფექტურობას გააუმჯობესებს. ამ მიმართულებით დისკუსია გაგრძელდება. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის, ანუ ჩინეთი-ყირგიზეთი-უზბეკეთი-თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი-ევროპის სატრანსპორტო მარშრუტი, აზერბაიჯანის რკინიგზისა და შესაბამისი ქვეყნების სახელმწიფო სარკინიგზო სტრუქტურების მონაწილეობით, 2019 წელს შეიქმნა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – წურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ომის დაწყების თარიღზე კამათი დიდი სისულელეა“

გურამ ვახტანგაშვილი: „ყველამ უნდა ვილოცოთ, რომ უკრაინამ არ წააგოს, ჩვენ კი უნდა მოვემზადოთ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, ტრაგიკული დღეებია. რუსეთის ფართომასშტაბიანი აგრესიიდან და ჩვენი ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციიდან 14 წელი გავიდა. დღეს რას გრძნობთ?

– მივუსამძიმრებ ომში დაღუპული სამხედროების, ჯარისკაცების, პოლიციელების ოჯახებს, შვილებს, მშობლებს. მათ თავი შესწირეს სამშობლოს, საქართველოს. დღეს დიდი კამათია თარიღზე, როდის დაიწყო ომი, 7-ში, 8-ში, 9-ში თუ 10-ში. ომი დაიწყო 1991 წელს.

– თუ 1989 წლიდან?

– კი. 1989 წლის 9 აპრილის მემორიალი უნდა დაგვედგა. ბატონი პრეზიდენტი (ზვიადი) რომ ჩამოვიდა, ცხინვალში არ შეუშვეს და გზები გადაიკეტა. მერე გზები გაიხსნა. 1990 წელს ცხინვალელები ცხინვალში ჩვეულებრივად ვცხოვრობდით. 1991 წლის 5 იანვარს დაიწყო, როდესაც ბანდფორმირებების გასაკონტროლებლად პოლიცია შემოვიდა. 1991 წლის შემდეგ დროგამოშვებით აქტიურდებოდნენ, 3-4 თვე სროლები არ იყო, შემდეგ სროლები იწყებოდა. წელი არ გასულა ისე, რომ 20-30 კაცი არ დაგვღუპვოდა.

მერე ყველაზე დიდი შეტაკება 2004 წლის აგვისტოში მოხდა (ისევ აგვისტო), როდესაც 21 ჯარისკაცი და 7 ადგილობრივი მოსახლე დაგვეღუპა. ამ დროს 20 წლის ბიჭი ოზურგეთიდან გმირულად დაიღუპა, თავისი ჯარისკაცები გადაარჩინა.

2004 წლის შემდეგ ცხინვალისკენ გზა სულ მთლიანად გადაიკეტა. ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი მოსახლეობა დიდ სოფლებს: თამარაშენს, ქურთას, კეხვს, აჩაბეთს. ხეითს, ძარძემსა და ქემერტს მხოლოდ შემოვლითი გზით, ერედვი-ხეითის გზით უკავშირდებოდნენ.

წელი არ გავიდოდა, ვინმე არ მომკვდარიყო. დიდი და პატარა ლიახვის ხეობის, ფრონეს ხეობის, ორი დიდი სოფლის, ავნევისა და ნულის მოსახლეობამ, ქალმა, კაცმა შეინახა ეს ტერიტორიები,

2008 წელს მოხდა ტრაგედია, მარტო ჩვენი ხეობებისთვის კი არა, მთლიანად საქართველოსთვის და მას კოდორის ხეობა დაემატა. შემდეგ რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი „დამოუკიდებელ ქვეყნებად“ აღიარა. 2008 წლის ომი ასე ტრაგიკულად, დიდი მსხვერპლით, დიდი ტერიტორიების დაკარგვით დამთავრდა. ამაში ცალსახად რუსეთია დამნაშავე. რუსები ყველაფერში ტყუიან, რუსები აგრესორები არიან. ამას მთელი მსოფლიო აღიარებს.

ამბობენ, მძინარე ცხინვალს თავს დაესხნენ და აფეთქებები იყოო, არავითარი მძინარე

ცხინვალი არ იყო. თუ ქალაქში კაციშვილი არ იმყოფებოდა, როგორ ეძინებოდათ? ჩვენს ტელევიზიებში ორი კვირის განმავლობაში გადიოდა კადრები, რომ მობილიზებას უკეთებდნენ და ქალი, კაცი, მოხუცი ვლადიკავკაზში გაჰყავდათ. ფაქტობრივად, ცხინვალში დარჩნენ ბანდფორმირებები და ე.წ. სამშვიდობო ჯარები. ქალაქ ცხინვალს არ ეძინა იმის გამო, რომ ქალაქში არავინ იყო.

– დღემდე ისე იყო ცნობილი, რომ ფართომასშტაბიანი ბრძოლები 8-ში დაიწყო.

– მანამდე დიდი ბრძოლა 2004-ში იყო, შემდეგ 2008 წლის 5-6 აგვისტომდე დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მიმართულებით სროლები და აფეთქებები არ იყო. შეტევები და აფეთქებები დაიწყო მაშინ, როდესაც ოსური ბანდფორმირებები 5-6 რიცხვში ავნევისა და ნულის მიმართულებით შეტევაზე გადმოვიდნენ.

7 აგვისტოს, საღამოს 11 საათზე, ცხინვალის მხრიდან უკვე მასობრივი დაბომბვები დაიწყო. ჩვენმა არტილერიამაც ასევე დაიწყო დაბომბვა ცხინვალის მიმართულებით. მთელი ღამის განმავლობაში ბომბავდნენ. 8 აგვისტოს, დილის 5 საათზე, ჩვენი საჯარისო ფორმირებები, მე-4 ბრიგადა მეღვრეკისი-ერგნეთის მიმართულებიდან შევიდნენ ცხინვალში. ბრიგადის სახელი არ მახსოვს. ისინიც ნიქოზის მიმართულებიდან შევიდნენ ცხინვალში. ცხინვალში ორივე მხრიდან შევიდნენ.

რა მოლაპარაკება იყო, არ ვიცი, მაგრამ მთავრობიდან განაცხადეს, რომ რუსი ამ კონფლიქტში არ ჩაერეოდა.

– დიახ, თავიდან განაცხადეს, რუსეთი არ მონაწილეობსო.

– ჰო, განაცხადეს, რუსეთი მონაწილეობას არ მიიღებსო. ამის დამადასტურებელი ფაქტები არსებობს. მე ნიქოზის მიმართულებით არ ვიყავი, სულ ხეობაში ვიმყოფებოდი. ხეობიდან 11 აგვისტოს გამოვედი, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ ნიქოზის მიმართულებით რუსმა ე.წ. სამშვიდობოებმა, ასევე ოსურმა ბანდფორმირებებმა ჩვენებს დიდი წინააღმდეგობა დაახვედრეს. გორი-ცხინვალის გზაზე (ერგნეთიდან რომ შედის), სანამ ერგნეთამდე მივალთ, სოფელი მეღვრეკისია. იქ რუსი ე.წ. სამშვიდობოების ბლოკ-პოსტი იყო, ჩვენს ნაწილებს შლაგბაუმი აუწიეს, თვითონ კი დაიშალნენ და ჩვენი ნაწილები ცხინვალში შეუშვეს.

ასე მოხდა სოფელ ავნევის მიმართულებითაც (ავნევი ახლა ოსებს აქვთ ოკუპირებული). ტყვიავი-ავნევიდან ჩვენი საჯარისო ნაწილები რომ შედიოდნენ, იქაც რუსებმა ასწიეს შლაგბაუმი და ჩვენი ნაწილები შეუშვეს. „დაჟე“ ჩვენს ბიჭებს იქაურმა ე.წ. რუსმა სამშვიდობოებმა „ჟვაჩკები“, კოკა-კოლები და სხვა რაღაცეებიც გამოართვეს, რაც მაფიქრებინებს, რაღაც მოლაპარაკება ხომ არ იყო-მეთქი, რადგან აცხადებდნენ, თითქოს რუსი კონფლიქტში არ ჩაერეოდა.

ჩვენი ჯარისკაცები შევიდნენ და გმირულად იბრძოლეს. სადღაც შუადღემდე, ღამის 5 საათზე დაწყებული შეტევა დილის 11-12 საათამდე გაგრძელდა. 12 საათის შემდეგ დაიწყო რუსების თვითმფრინავების შემოფრენა. თვითმფრინავი თვითმფრინავზე მოფრინავდა. პირველ რიგში, ცხინვალში შესული ჩვენი საჯარისო და სატანკო ნაწილების მასირებული დაბომბვა დაიწყო. ალბათ, კადრებიც გაქვთ ნანახი, ჩვენი ტანკები იქ როგორ იწვის.

ასევე დაიწყეს მიმდებარე სოფლების დაბომბვა. ჩვენი სოფლების, როგორც ერედვის, ასევე ავნევისა, ნულისა და გორის დაბომბვა 8-ში დაიწყეს. ფაქტობრივად, 8 აგვისტოს საღამოს შეტევები უკვე დამთავრებული იყო. მე სადაც ვიყავი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობაში, ჩვენი სწყალი მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში იყო, ქალი, კაცი ბავშვი, შემოვლითი გზით, ფეხით გადმოდიოდა. ვისაც მანქანა ჰყავდა, მანქანის მოდიოდა. ჩვენი ხალხი რომ მოდიოდა, რუსის ავიაციაც ფეხდაფეხ მისდევდა. სიმართლეს გეტყვით, შეეძლო, ჩვენი მოსახლეობის კოლონა პირდაპირ დაებომბა, მაგრამ, მოსახლეობას რომ გასცდებოდა, 500-600 მეტრში ჩამოყრიდა. მოსახლეობას აშინებდა, რომ მთელი ხეობა დაცლილიყო.

– დღეს დავა იმაზე, 8 აგვისტოს დაიწყო ომი თუ 7-ში, რას ნიშნავს? ახლა ნაცმოძრაობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ომი 7-ში დაიწყო და არა 8-ში. თქვენც აღნიშნეთ, მაშინ რომ აცხადებდნენ, რუსი არ მონაწილეობსო. გაეროშიც რუსეთმა დაგვასწრო ჩივილი. თუ რუსები 7-ში შემოვიდნენ, რატომ არ იჩივლეს გაეროში?

– რუსის ჯარი 1991 წლიდან თითქმის ყოველ წელიწადს შემოდიოდა. 2004 წელს რუსეთმა თავისი სატანკო ნაწილები კიდევ შემოიყვანა, ჯავაში, საკირეში ბაზა ჰქონდათ.

– დამატებით კონტინგენტზე ვსაუბრობ.

– დამატებით 8-ში, დილით, როკის გვირაბიდან შემოვიდნენ. კადრებიც გექნებათ ნანახი. ერთ მომენტში მე რაღაც თამაშები მეგონა. ღმერთო, ნუ მიწყენ, როგორ შეიძლება, ომი და სიცოცხლე რაღაც თამაში იყოს. თუ გახსოვთ, 8 აგვისტოს კოკოითი ცხინვალიდან ჯავაში გაიქცა, ჩვენი საჯარისო ნაწილების შეეშინდა. ალბათ, კადრები გაქვთ ნანახი, ჯავაში მყოფი კოკოითი რომ აცხადებს, რუსმა გვიღალატა, დროზე რატომ არ მოდისო.

– დიახ, ვიცი, კოკოითი რუსებს ურეკავდა, რატომ არ მოდიხართ, ქართველებმა გაგვანადგურესო.

– ურეკავდა, მოგვხედეთო. ფაქტობრივად, ომის დაწყების თარიღზე კამათი ძალიან დიდი სისულელეა. ომი დიდი ხანია დაიწყო. რუსის ჯარი დიდი ხნის შემოსული იყო, დამატებითი ძალები 7 აგვისტოს, გვიან ღამით და 8 აგვისტოს შემოიყვანა. ბრძოლები ყველგან მიმდინარეობდა.

– პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით ხომ არ წამოიწყეს კამათი?

– იმ ტრაგიკული დღეების შემდეგ 14 წელი გავიდა. პასუხისმგებლობა, გინდა აიცილო, გინდა არა, ფაქტია, რომ ხეობელები დავიღუპეთ, მამაპაპური სახლ-კარი მივატოვეთ, ისტორიული, ძირძველი ქართული კუთხეები მივატოვეთ და წამოვედით. ახლა ვიკამათოთ, ასეა თუ ისე. როგორც უნდა იკამათონ, როგორც უნდა პასუხისმგებლობა მოიხსნან, არ გამოუვათ.

პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, რუსზეა. რუსმა გააკეთა ის, რაც მოხდა, მერე კი – ჩვენს ვიღაც-ვიღაცებზე, ჩინოვნიკებსა და გენერლებზე.

თუმცა რუსს წინ ვინ დაუდგებოდა. ერთი მხრივ, ძველ ხელისუფლებას მაგაში ვერ გაამტყუნებ. 7-ში დაიწყებოდა ომი, 8-ში, 9-ში, 10-ში თუ მანამდე და ჯარს შემოიყვანდა, რუსეთი ამ ომისთვის ემზადებოდა ივნისის, ივლისის, აგვისტოს განმავლობაში. საჯარისო წვრთნები „კავკასია-2008“ ჩრდილო ოსეთში მიმდინარეობდა. რამდენიმე დივიზია საქართველოს საზღვრებზე მომდგარი იყო.

54-ე დივიზია შესაფერის მომენტს ელოდებოდა და შესაფერის მომენტში შემოიჭრნენ. ზუსტად იგივე განმეორდა უკრაინაში. სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბერში, დეკემბერში, იანვარში რუსეთმა 200-ათასიანი ჯარისკაცი გადაისროლა უკრაინის საზღვარზე. 23-ში შევიდოდა თუ 1 თებერვალს, პროცესი ომამდე იყო მიყვანილი.

– მესმის, მაგრამ უკრაინის ომს ამერიკის პრეზიდენტი, ევროპა და სხვები არაფრით არაპროვოცირებულ ომს უწოდებენ. ჩვენს შემთხვევაში თითქოს ომი ჩვენ დავიწყეთ... ეს წერია ტალიავინის დასკვნაში, რასაც ნაცები დათანხმდნენ. ჩვენმა მაშინდელმა დელეგაციამ ევროსაბჭოს რეზოლუციას ხელი მოაწერა, სადაც ეწერა, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ. საუბარია დაშვებულ შეცდომებზე.

– შეიძლება, არასწორი ნაბიჯები იყო გადადგმული. შეცდომები ნამდვილად იყო დაშვებული, მაგრამ, ვინც იტყვის, რომ ჩვენ მოვახდინეთ პროვოცირება, დამიძახეთ, მოვალ და კონკრეტული საათების დასახელებით დავუმტკიცებ, ვინ რა დაიწყო.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

რუსეთს დაგეგმილი აქვს ბელარუსიდან 12 ათასი ტონა სამხედრო დანიშნულების ტვირთის შეტანა უკრაინაში

უკრაინელი სამხედრო ექსპერტი: „უკრაინის არმიამ მტერს ინიციატივა ჩამოართვა“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში რუსეთის შემოჭრის მეთოთხმეტე წლისთავის ტრაგიკულ დღეებში ტაქტიკური ბრძოლები გრძელდება უკრაინაში. პროგნოზები იმის შესახებ, რომ ომი უკრაინაში ხანგრძლივი იქნება, გამართლდა. არსებობს მოსაზრება, რომ პუტინს ომის გაჭიანურება იმიტომ აწყობს, რომ ევროპას კრიზისული ზამთრის სიმძიმე გამოაცდევინოს.

უკრაინის ფრონტზე შექმნილ მდგომარეობაზე უკრაინულ მედიასთან საუბრობს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ვლადიმირ სელეზნიოვი.

– საბრძოლო მოქმედებების ახალი რუკის მიხედვით, მოწინააღმდეგე საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებს სამი – ხარკოვის, ლუგანსკისა და დონეცკის მიმართულებით. იმავდროულად, უკრაინის შეიარაღებული ძალები ატარებენ კონტრშეტევებს ასევე სამი – ხარკოვის, ზაპოროჟიესა და ხერსონის მიმართულებით. როგორ განვითარდება მოვლენები?

– ვხედავთ, როგორ მოძრაობენ ოკუპანტები არტილერიის ძალების დახმარებით სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთისკენ, ბახტუმის მიმართულებით. არტილერიისვე მეშვეობით ისინი ცდილობენ ჩვენი პოზიციების დასუსტებას ავდეევკის, პესკისა და მარიინკის მიმართულებით.

ტაქტიკური მნიშვნელობის სასტიკი ბრძოლები ხარკოვის მიმართულებითაც მიმდინარეობს. უკრაინული ქვედანაყოფები ახორციელებენ კონტრშეტევებს. რუსები ცდილობენ ლოგისტიკური მარშრუტების უსაფრთხოების უზრუნველყოფას ვოლჩანსკისა და კუპლიანსკისკენ, ხოლო ჩვენი ქვედანაყოფები ცდილობენ სახელმწიფო საზღვრისკენ გასვლას.

ამ ბრძოლების ფონზე მიმდინარეობს აქტიური საარტილერიო და სარაკეტო იერიშები ხარკოვსა და მის მიმდებარედ. ვხედავთ ამის საშინელ შედეგებს. აქედან გამომდინარე, გასაგებია უკრაინის თავდაცვის ძალების ლოგიკა – რაც უფრო შორს გადავისვრით მტერს ხარკოვიდან, მით ნაკლები საშუალება ექნება მას, მიაყენოს ხარკოვის ტერიტორიას საარტილერიო დარტყმები.

„ომის შემსწავლელი ინსტიტუტი“ აცხადებს, რომ ფრონტზე შეინიშნება სიტუაციის შეცვლა. ფაქტობრივად, უკრაინამ რუსეთს ინიციატივა წაართვა. ამჟამად რუსეთი იძულებულია, რეაგირება მოახდინოს იმ გამოწვევებზე, რომლებსაც ქმნის უკრაინის არმია.

დიდი ხნის განმავლობაში ისმოდა, რომ უკრაინა ხერსონისკენ კონტრშეტევას განახორციელებდა. რუსები იძულებული იყვნენ, გადაესროლათ აქ ძალები პრობლემის მოსაგვარებლად. იბადება კითხვა: როგორღა უნდა შეასრულონ პუტინის დავალება ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების ადმინისტრაციულ საზღვართან გასვლის შესახებ? ჩნდება ინტერესთა კონფლიქტი.

უახლოეს დღეებში რუსეთი გააძლიერებს თავის დაჯგუფებებს სამხრეთში, მიიზიდავს დამატებით რესურსებს. არის ინფორმაცია იმაზე, რომ სამხედრო დანიშნულების 12

ათასი ტონა ტვირთი შემოტანილი იქნება ბელარუსის ტერიტორიიდან.

უახლოეს ხანში გვექნება მკაფიო წარმოდგენა იმაზე, საით გადაადგილდებიან ოკუპანტები. უკრაინის ძალები, შესაბამისად, იმოქმედებენ თავდაცვის მიზნით. იქ, სადაც შევძლებთ და სადაც რესურსი გვექნება, კონტრშეტევით მოქმედებებზეც გადავალთ.

– ის ფაქტი, რომ უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ხელში ჩაიგდეს ინიციატივა, შეიძლება თუ არა ნიშნავდეს იმას, რომ მიღწეულია პარიტეტი პუტინისა და უკრაინის არმიებს შორის?

– სამწუხაროდ, არა. პუტინის არმიის უპირატესობა საარტილერიო და სარაკეტო საშუალებების მხრივ კოლოსალურია. სპეციალისტების აზრით, პარიტეტის შესაქმნელად ჩვენ ფაქტობრივად უნდა შევაგროვოთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ევროპელი წევრი ქვეყნების ქვემეხები. არის უსიამოვნო სიახლე: ამბობენ, რომ პუტინის შეიარაღებულმა ძალებმა უკვე მიიღეს 46 უპილოტო თვითმფრინავი ირანიდან.

– უკრაინამაც ხომ მიიღო სუპერდრონები?

– დიახ. ეს არის უზუსტესი დამრტყმელი დრონები. ისინი ფაქტობრივად გამორიცხავენ ოპერატორის მარცხს.

– უშვებთ თუ არა, რომ საოკუპაციო ჯარების აქტივიზაცია დონბასში შეიძლება იყოს ყურადღების გადასატანი ხერხი? შესაძლოა თუ არა, რომ მტერი ამზადებდეს დარტყმას ფრონტის რომელიმე სხვა მონაკვეთზე?

– არა მგონია. თანამედროვე რადიოტექნიკური, კოსმოსური საშუალებები იძლევა საშუალებას, რომ მოწინააღმდეგის გადაადგილება, რომელიც ეხება ძალებისა და საშუალებების დიდ მოცულობას, გაკონტროლდეს. ასეთი გადაადგილებების დამალვა შეუძლებელია.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

როგორ შეიცვალა საწვავის ფასები საქართველოში რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ

რუსეთის მიერ უკრაინაში სამხედრო აგრესიის დაწყების შემდეგ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასებმა მკვეთრი ზრდა დაიწყო. ომის დაწყებიდან მალევე Brent-ის ტიპის ნედლი ნავთობის ფასმა ბარელზე 120 დოლარსაც კი გადააჭარბა.

ნავთობის გაძვირებამ საწვავის შემოტანა კომპანიებს საქართველოშიც გაუძვირა და ადგილობრივ ბაზარზე ფასები რეკორდულ ნიშნულამდე გაზარდა.

ბოლო 2 თვეში ნავთობის ფასი დასტაბილურდა – Brent-ი დღეს 94 დოლარამდე ღირს, WTI-ის ტიპის ნედლი ნავთობი კი 88 დოლარამდე, რაც ომამდელი ღირებულების ტოლია. ნავთობის ფასის კლების და ლარის კურსის 4-კვირიანი მკვეთრი გამყარების პარალელურად, საწვავის გაიაფებაზე საქართველოშიც ალაპარაკდნენ.

ფასების კლება საქართველოში უკვე დაწყებულია არაბრენდირებულ बენზინგასამართ სადგურებზე, სადაც საწვავი, დაახლოებით, 30 თეთრითაა გაიაფებული. რაც შეეხება ბრენდირებულ სადგურებს, დიზელზე ფასებმა აგვისტოში უკვე დაიკლო 10-15 თეთრით, बენზინზე კი ფასები ჯერ არ შემცირებულა და კვლავ მაღალ ნიშნულზე რჩება.

შემოსავლების მიხედვით საქართველოში უმსხვილესი ნავთობიმპორტიორის, „სოკარის“ ფასების არქივის თანახმად, კომპანიის बენზინგასამართ სადგურებზე იანვარ-ივლისში ევრო რეგულარის ტიპის საწვავზე თვიური საშუალო ფასი თითქმის 21.6%-ით გაიზარდა – იანვარში თუ 3.06 ლარი იყო ღირებულება, ივლისში 3.72 ლარამდე, 66 თეთრით მოიმატა.

კიდევ უფრო მეტია ფასნამატი დიზელზე – წლის პირველ თვეში, იანვარში, „სოკარის“ სადგურებზე ევრო დიზელის საშუალო ფასი 2.98 ლარს შეადგენდა, ივლისში კი საშუალო ფასი 4.66 ლარი, 1.68 ლარით მეტი იყო, რაც 56.4%-იანი ზრდაა.

რაც შეეხება კიდევ ერთ მსხვილ ნავთობიმპორტიორს საქართველოში, „ვისოლს“, ევრო რეგულარის ტიპის საწვავის საშუალო ფასმა ამ კომპანიის სადგურებზე იანვარ-ივლისში 20.2%-ით, 63 თეთრით მოიმატა. იანვარში საშუალო ფასმა თუ 3.12 ლარი შეადგინა, ივლისში 3.75 ლარი იყო.

51.6%-ით, 1.62 ლარითაა გაზრდილი ფასები დიზელზე „ვისოლის“ სადგურებზე და ივლისის საშუალო მაჩვენებელი 4.76 ლარს შეადგენს.

მონაცემებიდან ჩანს, რომ წლის დასაწყისში ევრო რეგულარისა და ევრო დიზელის ფასები ერთმანეთისგან მცირედით განსხვავდებოდა, მეტიც, კომპანიების ნაწილი დიზელს უფრო იაფადაც ყიდდა, თუმცა ახლა მდგომარეობა განსხვავებულია და ორი ტიპის საწვავს შორის თითქმის 1 ლარიანი სხვაობაა.

როგორც კომპანია „სენტა ოილის“ დამფუძნებელი ზაალ იაკობაშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განმარტავს, რუსეთიდან საქართველოში შემოტანილი बენზინის ფასი ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე დიზელისა და სხვაობას სწორედ ეს განაპირობებს.

ცნობისთვის, საქართველოში საწვავის მთავარი შემომტანი წელს რუსეთი გახდა. 2021 წელს პირველ ადგილზე თურქმენეთი იყო, თუმცა მიმდინარე წელს საწვავის ფასის რეკორდული ზრდის გამო, ნავთობიმპორტიორებს საქართველოში ფასდაკლებული რუსულ საწვავი შემოაქვთ. ტოპ 5 იმპორტიორ ქვეყანაში შედიან რუმინეთი, თურქმენეთი, ბულგარეთი და აზერბაიჯანიც.

ეროვნული ბანკი მოქალაქეებს აფრთხილებს

ეროვნული ბანკი სახსრების განთავსებისა და სხვადასხვა, ერთი შეხედვით, მაღალშემოსავლიან, სქემებში ინვესტირების რისკებთან დაკავშირებით მოქალაქეებს აფრთხილებს.

ეროვნული ბანკის ცნობით, კომპანიები, რომელთა საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ კონტროლდება რომელიმე საზედამხედველო ორგანოს, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ, შესაძლოა ფიზიკურ პირებს საკმაოდ რისკიან აქტივებსა თუ ბიზნესსაქმიანობაში თანხის დაბანდებას სთავაზობდნენ. რიგ შემთხვევაში კი მათი საქმიანობა „ფინანსური პირამიდის“ კლასიკური მოდელის ნიშნებსაც ატარებს.

– ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელებსა და მედიასივრცეში გააქტიურდნენ ისეთი კომპანიები, რომლებიც ინტენსიური სარეკლამო კამპანიის საშუალებით, მოსახლეობას მოკლე ვადაში ბაზრისათვის არაადეკვატურად მაღალი სარგებლის მიღებას სთავაზობენ. უნდა აღინიშნოს, რომ „ფინანსური პირამიდის“ კლასიკური მოდელისგან განსხვავებით, აღნიშნული კომპანიები თანხის გამომუშავებისთვის მომხმარებლებს არ სთავაზობენ ფინანსურ ინსტრუმენტებს, მაგალითად ანგარიშზე/დეპოზიტზე თანხის განთავსებას, შესაბამისად, მათგან ფულად სახსრებს პირდაპირ არ იზიდავენ. თუმცა, თანხის გამომუშავების სანაცვლოდ მომხმარებლებს სხვადასხვა მოქმედებების შესრულებას სთხოვენ, რაც, მათ შორის, შეიძლება მოიცავდეს კომპანიის სხვადასხვა მომსახურების გამოწერას, ონლაინსივრცეში სარეკლამო შინაარსის შემცველი ინფორმაციის გაცნობას, გავრცელებას და ამავე მიზნით ახალი მონაწილეების მოწვევას.

საყურადღებოა, რომ ამ ტიპის საქმიანობის მთავარი მიზანი, ფინანსური პირამიდის მსგავსად, სქემაში რაც შეიძლება ბევრი ახალი წევრის ჩართვა და მათი სახსრების არაპირდაპირი გზით მოზიდვა და არა ბიზნესის განვითარებაა. ამასთან, რაც უფრო მეტი ადამიანი ერთვება, მით უფრო იზრდება სქემის სიცოცხლისუნარიანობა.

ასეთი პირამიდული სქემები, რომლებიც შესაძლებელია მრავალი სახით არსებობდეს, გარკვეულწილად მდგრადია მისი შექმნის მხოლოდ საწყის ეტაპზე, მანამ, სანამ სქემაში ახალი

მონაწილეების მოზიდვის პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება. თუმცა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად წარმატებული ჩანს ასეთი კომპანია დროის რომელიმე მომენტში, სქემა აუცილებლად იშლება, როდესაც შეუძლებელი ხდება ახალი წევრის და/ან დამატებითი თანხის მოზიდვა და, შედეგად, კომპანია ვეღარ ისტუმრებს წევრების მიმართ არსებულ ვალდებულებებს.

საგულისხმოა, რომ უკანასკნელ პერიოდში პოპულარული მსგავსი სქემების შესახებ სოციალურ ქსელებსა და მედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მომხმარებლისთვის ცნობილია სქემის რისკიანობის შესახებ, ხშირად ისინი შეგნებულად ერთვებიან ამ სქემებში იმის იმედით, რომ მათ მიერ ინვესტირებული თანხის გამომუშავებას სქემის დაშლამდე შეძლებენ. თუმცა, მსგავსი მიდგომა მაღალი რისკის შემცველია, რამდენადაც სქემის დაშლის მომენტის წინასწარ განჭვრეტა პრაქტიკულად შეუძლებელია.

საქართველოს ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ აფრთხილებს მოსახლეობას, საკუთარი თანხების დაბანდებამდე, მათი დაკარგვის რისკის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე, უპირველეს ყოვლისა, წინასწარ მოიძიონ ინფორმაცია კომპანიის სანდოობისა და საქმიანობის, ასევე მისი გადამხდელუნარიანობის მდგომარეობის შესახებ, გაარკვიონ რეგულირდება თუ არა ასეთი კომპანია რომელიმე უწყების მიერ, და მიიღონ გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილება, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

მომდევნო 12 თვეში, შესაძლოა, დეფლაციასაც კი ჰქონდეს ადგილი

„თიბისი კაპიტალის“ ინფორმაციით, აგვისტოდან ყოველთვიური ინფლაცია სამიზნეზე დაბალი იქნება და, არ არის გამორიცხული, მომდევნო 12 თვეში დეფლაციასაც კი ჰქონდეს ადგილი. „თიბისი კაპიტალის“ მოსაზრებით, ამის მიზეზი, ერთი მხრივ საერთაშორისო სასაქონლო ფასების შემცირება და გამყარებული ლარია, მეორე მხრივ კი, წლის დარჩენილ პერიოდში, პირველ ნახევართან შედარებით, სეზონური შესწორების გათვალისწინებით ეკონომიკური აქტივობის შენელებაა.

შესაბამისად, „თიბისი კაპიტალის“ შეფასებით, წლის ბოლოსკენ მონეტარული პოლიტიკის შერბილებაა მოსალოდნელი.

„თიბისი კაპიტალის“ თემატური განახლება მთავარი ეკონომისტისაგან – აქვს თუ არა ადგილი ეკონომიკის გადახურებას?

გასულ წელს ეკონომიკის 10.4%-ით აღდგენის შემდეგ წელსაც ძლიერი, კვლავ 10%-ზე მეტი ზრდაა მოსალოდნელი. ამ ფონზე, ჩნდება ლოგიკური კითხვა: ხომ არ აქვს ადგილი ეკონომიკის გადახურებას?

ეკონომიკის პოტენციური დონის შეფასების კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ ბოლო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა საინვესტიციო აქტივობა. ასევე, განსაკუთრებით შედარებით მაღალპროდუქტიული მიგრანტების ხარჯზე, მეტია ეკონომიკის პოტენციალში სამუშაო ძალის კონტრიბუცია. შედეგად, ამ უფრო თეორიულ, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევ ინდიკატორზე დაყრდნობით, ეკონომიკის პოტენციური დონიდან მნიშვნელოვანი გადახრა არ იკვეთება.

„თიბისი კაპიტალი“ პუბლიკაციაში ასევე მიმოხილულია სხვა ინდიკატორები: მომდევნო კვარტლების მშპ-ის ზრდის პროგნოზი, ლარის კურსი, ინფლაციისა და ხელფასების სხვადასხვა მაჩვენებელი, დაკრედიტებისა და სექტორული აქტივობის დინამიკა. ამ მხრივ, დასკვნა ანალოგიურია. უფრო მეტიც, მოსალოდნელია, რომ უკვე აგვისტოდან ყოველთვიური ინფლაცია სამიზნეზე დაბალი იქნება და, არ არის გამორიცხული, მომდევნო 12 თვეში დეფლაციასაც კი ჰქონდეს ადგილი. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, საერთაშორისო სასაქონლო ფასების შემცირება და გამყარებული ლარია, მეორე მხრივ კი, წლის დარჩენილ პერიოდში, პირველ ნახევართან შედარებით, სეზონური შესწორების გათვალისწინებით ეკონომიკური აქტივობის შენელებაა.

ამდენად, მიმდინარე და საპროგნოზო მაჩვენებლებში მკვეთრი განსხვავებაა და დასკვნაც შესაბამისია. ამ ფონზე, „თიბისი კაპიტალის“ აზრით, ზრდის დამატებით შეზღუდვა რისკის შემცველია. შესაბამისად, „თიბისი კაპიტალი“ ინარჩუნებს შეფასებას, რომ წლის ბოლოსკენ მონეტარული პოლიტიკის შერბილებაა მოსალოდნელი. ასევე, ფისკალური დეფიციტის მკვეთრი შემცირება სათუოა ზემოაღნიშნული არგუმენტებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების საჭიროება, როგორც ყოველთვის მაღალია. ამ მხრივ, „თიბისი კაპიტალის“ მოსაზრებით, რეგიონულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მიმართულებაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ქალაქები, სადაც პოსტსაბჭოთა პერიოდში მოსახლეობა ყველაზე მეტად შემცირდა და როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ თბილისისა და ბათუმის გარდა, საქართველოს რეგიონებიდან მუშაობა, „თიბისი კაპიტალის“ მოსაზრებით ქვეყნის ერთ-ერთ ძირითადი კონკურენტული უპირატესობაა, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

პოლიტიკა

„ომის დაწყების თარიღზე კამათი დიდი სისულელეა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ვინ რას იტყვის, იმაზე არ ვსაუბრობ – ტალიავინის კომისიის დასკვნასა და ევროსაბჭოს რეზოლუციაში წერია, რომელსაც ნაცმოძრაობის პარლამენტის დელეგაციამ ხელი მოაწერა.

– მაგ ამბავში 0% საქართველოს ბრალი არაფერი იყო. ღია წვრთნები მიმდინარეობდა და შემდეგ რუსეთმა იმავე სცენარით იმოქმედა, როგორითაც უკრაინაში. უკრაინამ გააშიშვლა რუსეთი. მიხარია, რომ რუსებს აღარსად დაედგომებათ. სადაც ჩადიან, დასცინიან. რუსეთის მინისტრები რომ გამოდიან, დარბაზს ტოვებენ. მაგის 1%-თ მაინც მხარი რომ დაეჭირათ ჩვენთვის მაშინ და პუტინის მისამართით განცხადებები გაეკეთებინათ, თუ შეხვალ საქართველოში, ჩვენც შევიყვანთ ჯარსო, ასე ტრაგიკულად არ დამთავრდებოდა. 1% მხარდაჭერაც არ გვქონდა.

მე უკრაინას გამარჯვებას მივესალმები. მიხარია, რომ მთელი მსოფლიო რუსეთის წინააღმდეგაა. 2008 წელს იმის 1% მხარდაჭერა რომ ჰქონოდა საქართველოს, რომელიც დღეს უკრაინას აქვს, დღეს უკრაინაშიც სხვა ვითარება იქნებოდა. პრეზიდენტები რომ ჩამოვიდნენ და თბილისში ზეიმი მოაწყვეს, მაშინ ტერიტორიები დაკარგული იყო, ყველაფერი დამთავრებული გახლდათ, რუსის ჯარი უკვე გორში იმყოფებოდა. ხეობები მთლიანად დაცლილი იყო.

– უკრაინასთან პარალელს ავლებთ?

– ორი ძალიან ცუდი და ერთი კარგი მომენტია. კარგი ისაა, რომ უკრაინამ უნდა გაიმარჯვოს. მთელმა საქართველომ, ქრისტიანებმა ვილოცოთ, რომ უკრაინამ გაიმარჯვოს. ერთი ქვეყანა მთელ მსოფლიოს ეწინააღმდეგება. ლოგიკიდან გამომდინარე, იმ ერთმა ქვეყანამ მსოფლიო წინააღმდეგ არ უნდა გაიმარჯვოს.

– უკრაინა თუ გაიმარჯვებს, ჩვენთვის რა იქნება?

– თუ უკრაინა გაიმარჯვებს, გაბრაზებულმა რუსმა თავის ქვეყანას, თავის შიდა მომხმარებელს თავისი „სიძლიერე“ რომ დაანახოს, მაშინვე საქართველოს ოკუპაცია შეიძლება ცადოს.

თუ ცადა, მოახდენს კიდეც. უკრაინა 40-მილიონიანი ქვეყანაა და ამხელა ძალას წინააღმდეგობას უწევს. უკრაინელები ძალიან ძლიერი მებრძოლები ყოფილან.

მეორე ვარიანტია, ღმერთმა არ ქნას და, თუ უკრაინამ წააგო, მეორე დღესვე საქართველოს, ყაზახეთსა და თხუთმეტივე რესპუბლიკას ულტიმატუმს წამოგვიყენებს, იტყვის, აგერ ამოდენა ქვეყანა, უკრაინა, დავამარცხე, დამნებდით, თორემ გაგანადგურებთო. რაც ესიზმრება, იმის გაკეთებას შეეცდება, რათა ძველი სსრკ აღადგინოს. ყველამ უნდა ვილოცოთ, რომ უკრაინამ არ წააგოს. ჩვენ კი უნდა მოვემზადოთ. მთავრობამ ეს არც უნდა გაამჟღავნოს, საიდუმლოება მაინც საიდუმლოებაა, ჯარი ჯარია და ამერიკასა და ევროპას უნდა მიმართოს, იგივე რომ არ მოხდეს, რაც ხდება უკრაინაში და რაც შეიძლება მეტი შეიარაღება მოგვაწოდოს. ნათქვამია, თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვისო. სასწრაფოდ საჰაერო თავდაცვის ძალები უნდა შეიქმნას, გაძლიერდეს და ტექნიკა უნდა შემოვიტანოთ.

მწყინს, როდესაც უკრაინას იარაღის მიწოდებას უგვიანებენ. რა გახდა იარაღის ოპერატიულად მიწოდება. იარაღის დაგვიანებით მიწოდებით ყოველდღიურად ასობითა და ათასობით უკრაინელის სიცოცხლე ნადგურდება. ყველა ვარიანტში უკრაინამ უნდა გაიმარჯვოს,

ჩვენ კი ჩვენი ჯარი უნდა გავაძლიეროთ. ჩვენ როკის გვირაბს იქით არასოდეს გადავალთ. აქეთ დაღესტნის მიმართულებით არასოდეს გადავალთ. ჩვენ ჩვენი ტერიტორიები გვყოფნის. რაც ღმერთმა გვიბოძა, ყველა ქართველსა და აქ მცხოვრებ ყველა ერს ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, ვისაც საქართველო და ქართველები უყვარს.

რუს ტურისტებზე აჟიოტაჟია. ტურისტი სადაც გინდა ჩავიდეს, მაინც ტურისტია. საშიროებას იმაში ვხედავ, რომ ჯაშუშები არ შემოვიდნენ.

– ამაზე უსაფრთხოების სამსახურმა უნდა იმუშაოს.

– ჯაშუში შეიძლება 100 კაცი იყოს. პუტინის ნათელ-მირონი მედვედჩუკი უკრაინელებმა დაიჭირეს და პუტინმა განირა. რატომ გაწირა? ომის დაწყებამდე მედვედჩუკისთვის მიუცია 7 მილიარდი, რომ სანამ უკრაინაში შევიდოდა და ე.წ. ოპერაციას ჩაატარებდა, ადგილობრივი მოსახლეობა „დაევერბოვკებინა“, რომ რუსულ ჯარს დროშებით შეხვედროდნენ.

რუსულ ბუნებას კარგად ვიცნობ. ეგენი ივნისში, ივლისსა და აგვისტოში ისვენებენ. სკოლა რომ იწყება, სექტემბერში, მასობრივად ბრუნდებიან, რომ ბავშვები სკოლაში წაიყვანონ. თუ სექტემბერში ისევ მასობრივად დაიწყეს შემოსვლა, 100-200-300 ათასი კაცი თუ შემოვიდა, რა გარანტია გვაქვს, რომ რუსი აქეთ არ წამოვა და აქ ჩამოსული რუსები დროშებით არ შეხვდებიან? ყველაფერი სექტემბერში გადაწყდება. პროვოკაციას არ უნდა წამოვეგოთ ისე, რომ ხელისუფლება და ადგილობრივი მოსახლეობა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავაყენოთ.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, თბილისში, შიდა ქართლში, სამეგრელოში, მცხეთა-მთიანეთსა და აჭარაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს. ინფორმაციას უწყების პრესსამსახური ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავებულია 8 პირი, 1 პირი კი აღნიშნულ დანაშაულშია მხილებული.

„საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1989 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ს.ც. თბილისში დააკავეს. პოლიციამ მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღო.

ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1995 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.მ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულისგან ნივთმტკიცებად ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდი და ვაზნები.

სამეგრელოს პოლიციამ 1978 წელს დაბადებული ზ.ს. მარტვილის მუნიციპალიტეტში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავა. ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია ერთლულიანი შაშხანა, ერთლულიანი გადაჭრილი თოფი, სხვადასხვა კალიბრის 6 ვაზნა.

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1962 წელს დაბადებული გ.მ. დუშეთის მუნიციპალიტეტში, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს „პარაბელუმის“ ტიპის პისტოლეტი.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ვ.ყ. დააკავეს. პოლიციამ ნივთმტკიცების სახით ამოიღო მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, მჭიდი და 8 ვაზნა.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1967 წელს დაბადებული ზ.ი., მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, გორში დააკავეს, 1963 წელს დაბადებული გ.ჩ. კი ამავე დანაშაულში ამხილეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულების საცხოვრებელ სახლებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ბერეტას“ ტიპის პისტოლეტი, სხვადასხვა კალიბრის დიდი რაოდენობით საბრძოლო ვაზნა, ასევე, მჭიდები.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კი 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.გ. ბათუმში დააკავეს. ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია „ბერეტას“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და 5 ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება ედება ბრალად აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დაკავებულ, წარსულში ნასამართლევ, 1974 წელს დაბადებულ რ.დ.-საც. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 11 საბრძოლო ვაზნა.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კანისა და ვენერიულ დაავადებათა დისპანსერის დირექტორის დაჭრის საქმეზე დაკავებულ ექიმს ბრალი წარუდგინეს

პროკურატურამ კანისა და ვენერიულ დაავადებათა დისპანსერის დირექტორის გიორგი გალდავას დაჭრის საქმეზე დაკავებულ ექიმს ბრალდება წარუდგინა.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, საქართველოს პროკურატურამ მას ბრალდება განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ ტარების ფაქტზე წარუდგინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ურთიერთშელაპარაკების გამო, ბრალდებულმა სამედიცინო დაწესებულებაში, ერთ-ერთ სამუშაო კაბინეტში ცადა კოლეგის მოკვლა მასზე შენახვის უფლებით რეგისტრირებული იარაღიდან გასროლით, რაც ვერ განახორციელა საავადმყოფოს თანამშრომელთა ხელშეშლის გამო. დაზარალებულს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 5 აგვისტოს დააკავეს. პროკურატურამ მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი

იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

პროკურატურამ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

კანისა და ვენერიულ დაავადებათა დისპანსერის დირექტორის, გიორგი გალდავას დაჭრის საქმეზე დაკავებული ექიმის, თეიმურაზ ბეჟანიძის სასამართლო პროცესი 8 აგვისტოს გაიმართა.

გუშინდელ სხდომაზე, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში 12:00 საათზე იყო დანიშნული, დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე იმსჯელეს.

როგორც ცნობილია, პროკურატურა დაკავებულის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის გამოყენებას მოითხოვს.

ცნობისთვის, პროკურატურამ თეიმურაზ ბეჟანიძეს ბრალი გიორგი გალდავას განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ ტარების ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ურეკში შსს-ს თანამშრომელი გოგოს დაეტაკა

აჭარის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოში ოზურგეთის რაიონის დაბა ურეკში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს.

როგორც საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, 6 აგვისტოს, დაახლოებით 11:30 საათზე, დაბა ურეკში შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს მე-2 ოპერატიული განყოფილების უფროსი ბ.გ. თავისი მართვის ქვეშ მყოფი მარკის ა/მანქანით შეეჯახა ქვეითად მოსიარულეს, რომელიც მიღებული დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276 მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

თბილისში უცხოელ სტუდენტებს სახლში 5 შეიარაღებული პირი შეუვარდა

შეიარაღებული თავდასხმა თბილისში, ტაშკენტის 18 ნომერში. 5 პირი საცხოვრებელ სახლში შეიჭრა და 3 ინდოელ სტუდენტს თავს დაესხა. დაშავებულები ყვებიან, რომ თავდამსხმელებს თან ცეცხლსასროლი ცივი იარაღი ჰქონდათ, ერთ-ერთ სტუდენტს თავისა და ხელის არეში დანით დაზიანებები მიაყენეს.

„ღამით მეგობარს დავხვდით აეროპორტში, ახალი დაბრუნებულები ვიყავით, ვვახშმობდით, როდესაც კარზე დააკაკუნეს. კარის გაღებისთანავე შემოცვივდნენ და თავს დაგვესხნენ. ითხოვდნენ ფულსა და ტექნიკას. თან ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი და დანები, მე თავი მაქვს დაზიანებული, დანით დამისერეს. წაიღეს ყველაფერი და გაიქცნენ, მერე დავრეკეთ პოლიციაში და, როგორც ვიცი, 5-ვე მათგანი სამართალდამცავებმა დააკავეს“, – ამბობს ერთ-ერთი სტუდენტი.

მათივე თქმით, სახლიდან წაღებულია ფული, ძვირფასი ნივთები და ტექნიკა.

„სახლში 5 ადამიანი შემოვარდა, ერთი რუსულად საუბრობდა და 4 ქართულად, გვთხოვდნენ ფულსა და ტექნიკას, წინააღმდეგობა რომ არ გაგვეწია, ერთმა იარაღი თავში დამიმიზნა, წაიღეს 1000 დოლარი, ლეპტოპები, ოქროს ბეჭედი და საათი. უკვე ძალიან საშიშია აქ ცხოვრება, ჩემი მეგობრებიც აღარ გრძნობენ უსაფრთხოდ თავს“, – ამბობს სტუდენტი.

ცნობილია, რომ საპატრულო პოლიციამ თავდამსხმელები ცხელ კვალზე დააკავა.

მეტრო „მარჯანიშვილთან“ გადაღებულ ვიდეოკადრებზე ადმინისტრაციული სამართალწარმოება დაიწყო



პოლიციამ თბილისში, მეტროსადგურ „მარჯანიშვილის“ მიმდებარედ გადაღებულ და სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოკადრებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალწარმოება დაიწყო. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელების ფაქტზე მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში ორივე პირის იდენტიფიცირება მოახდინა, ორივე მათგანი საქართველოს მოქალაქეა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა იწვევს პირის დაჯარიმებას 200 ლარამდე ოდენობით“, – აცხადებენ შსს-ში.

შეგახსენებთ, რომ დღეს სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეოკადრები, რომელიც მეტროსადგურ „მარჯანიშვილის“ მიმდებარედ არის გადაღებული და სადაც 2 პირის სექსუალური ხასიათის ქცევაა ასახული.

საერთაშორისო

რეჯეფ თაიფ ერდოღანი სომხეთს მოუწოდებს

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი დარწმუნებულია, რომ სამხრეთ კავკასიაში უმოკლეს ვადებში დამყარდება სტაბილურობა, თუ ერევანი სწორად შეაფასებს ბაქოსა და ანკარის გზავნილებს.

– თუ სომხეთი სწორად შეაფასებს პროცესებს, უპასუხებს აზერბაიჯანისა და თურქეთის გულწრფელ მოწოდებებს, დარწმუნებული ვარ, სტაბილურობა ჩვენს რეგიონში ძალიან მალე დამყარდება“, – განაცხადა თურქეთის ლიდერმა ანკარაში ელჩების მე-13 კონფერენციაზე.

მანვე ისაუბრა თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესის ფარგლებში ღონისძიებების გაგრძელების თაობაზე.

მანამდე, სოჭში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან გამართული შეხვედრის შემდეგ, თურქეთის ლიდერმა მნიშვნელოვანი უწოდა იმას, რომ სომხეთმა, 2020 წლის 10 ნოემბრის სამმხრივი განცხადებიდან გამომდინარე, ვალდებულებები სწრაფად შეასრულა.

ერდოღანმა დაგმო სომხური ფორმირებების თავდასხმა, რომლის შედეგადაც აზერბაიჯანელი ჯარისკაცი დაიღუპა და განმარტა, რომ აზერბაიჯანს არ სურს მის ტერიტორიაზე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების არსებობა.

– ყარაბაღი აზერბაიჯანული მიწაა. რა თქმა უნდა, აზერბაიჯანი ეწინააღმდეგება მის მიწაზე უკანონო შეიარაღებული ჯგუფების არსებობას. სამმხრივი განცხადების მიღებიდან თითქმის ორი წელი გავიდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სომხეთმა დაუყოვნებლივ შეასრულოს ეს პირობები, – განაცხადა ერდოღანმა.

უკრაინის პორტებიდან მარცვლეულით დატვირთული კიდევ ორი გემი გავიდა

– უკრაინის შავი ზღვის პორტები 8 აგვისტოს მარცვლეულის გადამზიდავმა კიდევ ორმა გემმა დატოვა, – ამის შესახებ თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა.

„საკურას“, რომელიც იუჟნიდან გაემგზავრა, იტალიაში 11.000 ტონა სოიო გადააქვს, ხოლო „არიზონას“, რომელიც ჩერნომორსკიდან გავიდა, სამხრეთ თურქეთში 48.458 ტონა მარცვლეული გადაატანს.

შეგახსენებთ, გემებმა უკრაინის პორტები უკრაინის საზღვაო ექსპორტის განბლოკვის შესახებ შეთანხმების ფარგლებში დატოვეს.

გუშინ დადასტურდა, რომ უკრაინის ალყაში მოქცეული პორტების დატოვების ნებართვა სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადამზიდავ კიდევ ექვს გემს მიეცა.

ატომურ ელექტროსადგურზე ნებისმიერი თავდასხმა თვითმკვლელობაა

გაეროს გენერალური მდივნის ანტონიო გუტერეშის განცხადებით, მსოფლიოში ათწლეულების შემდეგ ბირთვული დაპირისპირების რისკი დაბრუნდა.

„ატომურ ელექტროსადგურზე ნებისმიერი თავდასხმა არის თვითმკვლელობა“, – განაცხადა გუტერეშმა ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც ის რუსეთის მიერ ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის დაბომბვას გამოეხმაურა.

გენერალური მდივნის თქმით, გაერო მხარს უჭერს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ძალისხმევას, რომელიც მიმართულია აღნიშნულ ატომურ ელექტროსადგურზე სტაბილიზაციის პირობების შექმნისკენ.

ისრაელსა და „ისლამურ ჯიჰადს“ შორის ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ამოქმედდა

ისრაელსა და დაჯგუფება „ისლამურ ჯიჰადს“ შორის მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ძალაში შევიდა.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ოფისმა შეთანხმებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ თუ ის დაირღვევა, „ისრაელის სახელმწიფო ინარჩუნებს უფლებას, მკაცრი რეაგირება მოახდინოს“. ამასთან, პრემიერ-მინისტრის ოფისი მადლობას უხდის ეგვიპტეს, რომელიც შეთანხმების მიღწევის მიზნით მოლაპარაკებებს შუამავლობდა.

შეთანხმების პირობები ჯერჯერობით არ საჯაროვდება, თუმცა ეგვიპტის ოფიციალური სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ ზავის ამოქმედების მიზნით კაირო მუშაობდა ისრაელის მიერ ექვსი დღის წინ დატყვევებული „ისლამური ჯიჰადის“ ბოევიკის გათავისუფლებაზე, ასევე, ისრაელის ციხეში მყოფი მოშიმშილე პალესტინელი პატიმრის მკურნალობის მიზნით საავადმყოფოში გადაყვანის უზრუნველსაყოფად.

ცნობისათვის, ისრაელსა და დაჯგუფება „ისლამურ ჯიჰადს“ შორის ზავი დაახლოებით 50-საათიან ესკალაციას მოჰყვა, რომელიც ისრაელის მიერ ღაზის სექტორში „ისლამური ჯიჰადის“ ობიექტებზე განხორციელებული დარტყმების შემდეგ დაიწყო. პალესტინელი ოფიციალური პირების ინფორმაციით, კონფლიქტს, სულ მცირე, 44 მშვიდობიანი მოქალაქე და მებრძოლი ემსხვერპლა, მათ შორის 15 ბავშვი.

ხავიერ კოლომინა: „ნატო მოუწოდებს რუსეთს, გაიყვანოს სამხედრო ძალები საქართველოდან“

სამხრეთ კავკასიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ხავიერ კოლომინა აცხადებს, რომ ნატო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

კოლომინას თქმით, ალიანსი მოუწოდებს რუსეთს, გაიყვანოს ძალები საქართველოდან.

– როგორც მადრიდის სამიტზე იყო დადასტურებული, ნატო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და კვლავაც მოუწოდებს რუსეთს, შეასრულოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებები და გაიყვანოს თავისი სამხედრო ძალები საქართველოდან, – წერს კოლომინა „ტვიტერზე“.

ოლაფ შოლცი: „წინ რთული თვეები გველის“

გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი აცხადებს, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მხარდაჭერა არ შემცირდება, თუნდაც ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადები კიდევ უფრო გაიზარდოს. მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ გერმანიის მთავრობის პრესსპიკერმა განაცხადა.

– წინ რთული თვეები გველის, მაგრამ აშკარაა, რომ მტკიცედ ვდგავართ უკრაინის მხარეს და ვდგავართ იმ სანქციების უკან, რომლებზეც შევთანხმდით ევროკავშირთან და საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად, – განაცხადა პრესსპიკერმა.

მან ასევე გამორიცხა დაბლოკილი „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მილსადენის დამტკიცება.

უკრაინულმა ძალებმა 42.340 რუსი სამხედრო მოკლეს

უკრაინულმა ძალებმა 24 თებერვლიდან დღემდე 42.340 რუსი სამხედრო მოკლეს, აქედან 140 – ბოლო 24 საათში. ამ ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს.

უწყების ცნობით, უკრაინულმა მხარემ რუსული ძალების ქვეყანაში შემოჭრის დღიდან მათი კუთვნილი სხვადასხვა სახის ტექნიკა გაანადგურა.

– უკრაინელმა დამცველებმა გაანადგურეს: 1811 ტანკი, 4070 ჯავშანტექნიკა, 960 ერთეული საარტილერიო სისტემა, 261 ერთეული მრავალჯერადი სარაკეტო სისტემა, 132 ერთეული საჰაერო თავდაცვის სისტემა, 223 საბრძოლო თვითმფრინავი, 192 ვერტმფრენი, 754 ოპერატიულ-ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატი, 15 გემი/ნავი, 2993 სხვადასხვა ავტომობილი და ტანკერი, 86 ერთეული სპეცტექნიკა და 182 ფრთოსანი რაკეტა, – აცხადებენ უკრაინის გენშტაბში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საქართველო ლიდერთა შორის არის

ინდოეთის ქალაქ ჩენაიში მიმდინარე 44-ე ოლიმპიადაზე საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებმა დღეს გალიდერების შანსი დაკარგა.

მე-9 ტურში პირველ ადგილზე მყოფმა ინდოეთის ნაკრებმა პოლონეთთან 1.5:2.5 წააგო. ჩვენებს უკრაინასთან უნდა მოეგოთ და ერთპიროვნულად გალიდერდებოდნენ. თუმცა, ეს ვერ მოახერხა – 2:2.

არადა, მოგებაც შეიძლებოდა: ნანა ძაგნიძემ და ლელა ჯავახიშვილმა მარია მუზიჩუკთან და და ანა უშენინასთან სწრაფი ყაიმი გააფორმეს, ხოლო დანარჩენ ორ დაფაზე ჩვენების უპირატესობა იკვეთებოდა. ნინო ბაციაშვილმა ანა მუზიჩუკთან მოიგო კიდეც, მაგრამ მერი არაბიძეს ნატალია ბუკსასთან სვლა გაეპარა და დამარცხდა.

შედეგად, 4 ნაკრებს – პოლონეთს, ინდოეთს, ყაზახეთსა და საქართველო 15-15 ქულა მოუგროვდათ. დამატებითი მაჩვენებლებით ჩვენები მეოთხეზე არიან.

ბოლოსწინა, მე-10 ტურში, ერთმანეთს სწორედ ეს ოთხეული ეთამაშება: საქართველო პოლონეთს გაეჯიბრება, ინდოეთი – ყაზახეთს.

ვაჟებმა ფილიპინებს 2.5:1.5 სძლიეს და სატურნირო ცხრილი ოდნავ გამოიკეთეს. ახლა ჩვენები 12 ქულით 22-ე ადგილზე არიან. პარტია მხოლოდ ლევან ფანცულაიამ მოიგო, ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი და ლუკა პაიჭაძე კი ყაიმებს დასჯერდნენ.

მე-9 ტურში საქართველოს ვაჟთა გუნდს პერუსთან დაპირისპირება ელოდება.

შვიდკაცა ნაკრებს ჩილეში მხოლოდ გამარჯვება აწყობს

საქართველოს მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრები 12-14 აგვისტოს მსოფლიო სერიის შესარჩევ ტურნირში ითამაშებს, რომელსაც ჩილე უმასპინძლებს.

მსოფლიო სერიის საგზურისთვის მსოფლიოს ექვსივე რეგიონის 12 გუნდი იბრძოლებს, რომლებიც სამ ოთხგუნდიან ჯგუფში არიან განაწილებული. თითოეული ჯგუფის ორ-ორი მოწინავე და ორიც საუკეთესო მეორეადგილოსანი თასის მეოთხედფინალში გადის. ჩილეში ყველა ადგილი გათამაშდება, მაგრამ სანუკვარ საგზურს მხოლოდ გამარჯვებული მიიღებს.

საქართველო ა ჯგუფში ჩილეს, სამხრეთ კორეისა და პაპუა ახალი გვინეის ნაკრებებთან მოხვდა; ბ ჯგუფში ჰონგ კონგი, ტონგა, იამაიკა და ზიმბაბვე ითამაშებენ; ც ჯგუფში – ურუგვაი, უგანდა, გერმანია და ლიეტუვა.

ჩვენი შვიდკაცა სამხრეთ ამერიკაში უკვე გაემგზავრა. სამწვრთნელო შტაბმა 13 მორაგბე იახლა. წინა ტურნირებისგან განსხვავებით, გუნდში ორი ახალი სახეა, ორივე შავი ლომიდან – მირიან მოდებაძე და ლაშა ლომიძე.

გია ლაბაძე, შვიდკაცა ნაკრების მწვრთნელი:

– ჩილეში გამგზავრებამდე შეკრება ქუთაისში გავიარეთ. 5 სრულყოფილი სავარჯიშო დღე გვქონდა და ყველამ ძალიან დიდი მონდომებით ივარჯიშა. იყო ინტენსიური ვარჯიშები ბურთით, რაც ფიზიკურთან ერთად, ტექნიკური არსენალის დახვეწაშიც დაგვეხმარა. ნაკრებისა და შავი ლომის ბიჭების დამატებით, ვარჯიშების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ბევრი დეტალი გამოვასწორეთ, რაც ჩილეში წარმატების იმედს გვაძლევს. მსოფლიო სერიაზე მოხვედრა ჩვენი ოცნებაა და, თუ ეს მოვახერხეთ, ფაქტობრივად, ყოველთვე მსოფლიოს ჩემპიონატს ვითამაშებთ, რაც ქართულ რაგბისა და შვიდკაცას ნაკრებს მნიშვნელოვნად გაზრდის. თავდაჯერებულები ვართ, მაგრამ ერთადერთ პრობლემას აღდგენა გვიქმნის. გზაში 2 დღის გატარება გვიწევს და აღსადგენად 2 დღე გვრჩება. იმედია, ადაპტაციას კარგად გავივლით.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:

იოსებ გუშარაშვილი, მირიან მოდებაძე, ნიკოლოზ რეხვიაშვილი, გიორგი კოშაძე, ნიკოლოზ გიგაური, გიორგი გელაშვილი, ირაკლი სიმსივე, გიორგი ბაბუნაშვილი, თემურ კოხოძე, ლაშა ლომიძე, თემო ჭიჭინაძე, ლევან ნარიმანიძე, გიორგი ჭუაძე.

18 წლამდე ნაკრები მე-15 ადგილზე გავიდა

რუმინეთში დასრულდა ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის ბ დივიზიონი, რომლის ფინალში შვედეთმა დანია 79:66 დაამარცხა. ამ გუნდებთან ერთად ა დივიზიონის საგზური კიდევ ერთმა სკანდინავიურმა ქვეყანამ – ფინეთმა მოიპოვა.

საქართველოს ნაკრები კი 22 მონაწილეს შორის მე-15 ადგილზე გავიდა. ტურნირის დასკვნით შეხვედრაში, რომელსაც მე-15 გუნდი უნდა გამოევლინა, დავით როგავას გაწვრთნილმა გუნდმა ბულგარეთი გაანადგურა – 64:41. ბულგარეთი ის ნაკრებია, ვის გამოც საქართველო ჯგუფიდან ვერ გავიდა. ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი გუნდი ბულგარეთთან 66:70 დამარცხდა, შემდეგ კი ბოლო ტურის მატჩში ბულგარეთს ნორვეგიასთან რომ წაეგო, საქართველო მეოთხედფინალში გადიოდა, მაგრამ...

ერთი სიტყვით, საბოლოოდ ვერც ბულგარეთი გავიდა ჯგუფიდან, ორივეს ნიდერლანდებმა გვაჯობა. საქართველო და ბულგარეთი კიდევ ერთხელ გადაიკვეთნენ – საკვალიფიკაციო, მე-15 ადგილისთვის მატჩში, რომელშიც ჩვენმა გუნდმა აღარაფერში საჭირო რევანში აიღო და მეტოქე 23 ქულით დაამარცხა.

ჩვენს გუნდში 21 ქულით, 4 მოხსნითა და 4 პასით საუკეთესო იყო გიორგი ოჩხიკიძე. 17 ქულა და 17 მოხსნა გიორგი სულაბერიძემ მიითვალა, 12 ქულითა და 6 მოხსნით დაასრულა შეხვედრა ვატო გაჩეჩილაძემ.

ქართველმა კალათბურთელებმა ევროპირველობის ბ დივიზიონში 8 მატჩი ჩაატარეს და თანაბარი ბალანსი მოუგროვდათ: 4 მოგება, 4 მარცხი. როგავას ნაკრებმა კოსოვო (87:60), ნორვეგია (71:51), ბოსნია-ჰერცეგოვინა (79:75) და ბულგარეთი დაამარცხა და წააგო იმავე ბულგარეთთან (60:64), ნიდერლანდებთან (52:59), უკრაინასთანა (60:61) და უნგრეთთან (60:67).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

მამაკაცმა, რომელიც დღეში 12 ბუტერბროდს ჭამდა, 127 კილოგრამი დაიკლო

დიდ ბრიტანეთში 46 წლის მამაკაცმა, რომელიც დღეში 12 ლორიან და ბეკონიან ბუტერბროდს ჭამდა, ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა 15 თვეში წონაში 127 კილოგრამის დაკლება.

ყოფილი მშენებელი იენ უიტმორი ამტკიცებს, რომ წონაში მატება მას შემდეგ დაიწყო, რაც უბედური შემთხვევის შემდეგ სამსახური დაკარგა. სტრესის გამო ის ბევრს ჭამდა, დღეში მინიმუმ 12 ბუტერბროდს ნთქავდა, ასევე ჩიპსების მოზრდილ შეკვრასა და სწრაფი მომზადების ლაფშას.

– ვცდილობდი, ეს ყოველივე ჩემი ოჯახისთვის დამემალა. ძალიან მრცხვენოდა, მაგრამ გაჩერებას ვერ ვახერხებდი. სტრესისგან ვიტანჯებოდი და რამდენიმე წლის განმავლობაში მთელ დროს პრაქტიკულად დივანზე ვატარებდი. ისე ვიღლებოდი, რომ ბავშვებთან თამაშის ძალა და ენერგია აღარ მრჩებოდა. ვერაფერს ვაკეთებდი, – იხსენებს ბრიტანელი.

ცხოვრების ასეთი წესი მის ჯანმრთელობაზე აისახა და 2018 წელს მას შაქრიანი დიაბეტი დაუდგინეს.

მამაკაცის თქმით, ცხოვრების სტილის შეცვლისკენ მას ბავშვებმა უბიძგეს. სწორედ მათი წყალობით თქვა უარი მავნე ჩვევებზე, მეტი ყურადღება დაუთმო ჯანსაღ კვებასა და მოძრაობას. მან თანდათან დაიწყო წონაში დაკლება და შედეგად 15 თვეში 127 კილოგრამის დაკლება მოახერხა.

ჟირაფმა ნიშნობის დროს საპატარძლოს კისერი დაუზიანა

მექსიკის დედაქალაქ მეხიკოს მცხოვრები მონსერატ კოკსი იმ დროს დაშავდა, როდესაც შეყვარებული ხელს სთხოვდა.

ნიშნობისთვის საქმრომ გოგონა საფარი-პარკში დაპატიჟა. როდესაც ისინი ჟირაფის გვერდით აღმოჩნდნენ, მამაკაცმა ცალ ფეხზე დაიჩოქა და კოკს ცოლობა სთხოვა. ამ ყოველივეს ამსახველ ვიდეოზე ჩანს, რომ გოგონამ პასუხად გაიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ამ დროს საქმეში ჟირაფი ჩაერია, მან თავი გაიქნია და გოგონას კისერში მოარტყა.

დარტყმისგან კოკსის თავი მკვეთრად გადაიხარა უკან, ხელები კი მაღლა ასწია. აღნიშნული ინციდენტის შედეგად გოგონას კისერი დაუზიანდა და მეორე დღეს მას კისრის დამჭერი კორსეტის გაკეთება მოუხდა. მიუხედავად ტრავმისა, კოკსი თვლის, რომ ნიშნობამ იდეალურად ჩაიარა.

– ერთი ორი დღე კისერი მტკიოდა, მაგრამ, ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ ამას ვერც კი ვამჩნევდი, – აღნიშნა კოკსმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბარსელონა დარღვევების იმედად არის



ბარსელონა ფრენკი დე იონგის საკითხის მოგვარებას აქტიურად შეუდგა. კატალონიელების მიზანია, ნიდერლანდელმა ან ხელფასი შეიმციროს, ან კლუბი დატოვოს. ფეხბურთელს არცერთი ვარიანტი არ მოსწონს.

ესპანური მედიის ცნობით, ბარსელონამ მიაგნო ხერხს, თუ როგორ უნდა აიძულოს დე იონგი, ხელფასის შემცირებას დასთანხმდეს.

ბარსელონამ დე იონგი 2019 წელს დაიმატა, 2020 წელს კი ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმად, მიმდინარე სეზონიდან დე იონგის ხელფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. სწორედ ეს ქმნის პრობლემას ბარსელონისთვის – ფეხბურთელის ახალი ანაზღაურება კლუბის სახელფასო ლიმიტებს მნიშვნელოვნად აღემატება.

მედიის ცნობით, ბარსელონამ დე იონგს უკვე შეატყობინა, რომ 2020 წელს გაფორმებული კონტრაქტი დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ეს კი სახიფათოა მისი მონაწილე ყველა მხარისთვის. ბარსამ ფეხბურთელს ისიც აცნობა, რომ კლუბი მოქმედი კონტრაქტის გაუქმებას და 2019 წელს გაფორმებულ ვარიანტზე დაბრუნებას გეგმავს. ასეთ შემთხვევაში დე იონგის ხელფასი კლუბისთვის მისაღები იქნება.

ასევე მედიის ცნობით, ბარსელონის წინა ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ 2020 წელს გაფორმებული კონტრაქტი სამართლებრივ ჩარჩოებში ჯდება და კანონს არ არღვევს. ის დადასტურებულია როგორც ორივე მხარის იურისტების, ასევე ლა ლიგის მიერ.

დე იონგის გარშემო მიმდინარე სიტუაციას თვალს ყურადღებით ადევნებს როგორც ნიდერლანდელ ფეხბურთელთა გაერთიანება, ასევე პროფესიონალ ფეხბურთელთა მსოფლიო გაერთიანება. ფრენკის შრომითი უფლებები კარგადაა დაცული და ბარსას ფრთხილად მოქმედება მართებს.

კიდევ ერთი დეტალი: დე იონგთან ერთად 2020 წლის ოქტომბერში იმავე პირობებით ახალი კონტრაქტები ჟერარ პიკემ, მარკ-ანდრე ტერ შტეგენმა და კლემან ლანგლემ გააფორმეს. ჯერჯერობით, უცნობია, ბარსამ დანაშაულის ნიშნები მათ კონტაქტებშიც თუ აღმოაჩინა.

ბათუმის დინამომ ირაკლი აზაროვი ნაკლებ ფასში გაყიდა

ჰერკულესი ჩვენია – ასე შეეგებნენ ბელგრადში ირაკლი აზაროვს, რომელმაც იქაურ ცრვენა ზვეზდასთან, სერბეთის ყველაზე ტიტულოვან კლუბთან, 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

აზაროვი ბელგრადში ბათუმის დინამოდან გადავიდა. ფეხბურთელის სანაცვლოდ საქართველოს ჩემპიონები 300.000 ევროს მიიღებენ და სამომავლო სატრანსფერო თანხის 20 პროცენტსაც. სერბული პრესა წერს, რომ აზაროვის ხელფასი წელიწადში 250.000 ევრო იქნება.

ცრვენა ზვეზდას 1991 წელს ჩემპიონთა თასი აქვს მოგებული. ამ კლუბის წითელ-თეთრი მაისურით უთამაშიათ იუგოსლავიელ ვარსკვლავებს. დღეს კი მწვრთნელი წარსულში სახელოვანი ფეხბურთელი დეიან სტანკოვიჩია, რომელმაც გუნდი ფაქტობრივად უკვე გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში. ცრვენა ზვეზდამ სომხურ პიუნიკს 5:0 მოუგო და მომდევნო, გადამწყვეტ ეტაპზე ჰაიფას მაკაბის შეხვდება. წარმატების შემთხვევაში სერბები ლიგის ჯგუფში ითამაშებენ.

ცრვენა ზვეზდამ ქართველი ფეხბურთელი ოფიციალურად წარადგინა. პრესკონფერენციაზე ირაკლისთან ერთად კლუბის სპორტული დირექტორი მიტარ მრკელა წარდგა:

– მინდა წარმოგიდგინოთ ამ სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში ჩვენი მეექვსე შენაძენი. ირაკლი აზაროვი 20 წლის მარცხენა მცველია. ჩვენთვის პრობლემურ ამ პოზიციაზე დიდხანს ვეძებდით ფეხბურთელს, რომელიც როტაციაში მილან როდიჩის პარტნიორი იქნებოდა. არჩევანი ახალგაზრდა ფეხბურთელზე შევაჩერეთ, რომელიც საქართველოს ნაკრებში გამოდის. ბოლო წელს მან ძალიან მოუმატა და, იმედი მაქვს, ასე გაგრძელებს. ის როდიჩისგან განსხვავებულია. მისთვის დამახასიათებელია შემტევი სტილი, სისწრაფე, დრიბლინგი, პასი. სამწვრთნელო შტაბს მარცხენა მცველის პოზიციაზე ახალი ვარიანტი ექნება.

პრეზენტაციაზე თავად ქართველმა ფეხბურთელმაც ისაუბრა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბედნიერია ბელგრადის კლუბში მისვლით და გამოთქვა იმედი, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს წარმატებით გაივლის და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს.

ირაკლი აზაროვი:

– ბედნიერი ვარ, რომ აქ ვიმყოფები და დიდი კლუბის ნაწილი ვარ. ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, ვარჯიშზეც და მოედანზეც, რათა დავეხმარო გუნდს ტიტულების მოპოვებასა და ევროპაში წარმატებების მიღწევაში. მარკო მარინი ცრვენა ზვეზდაზე, მის გულშემატკივრებზე ბევრს მესაუბრა, თუმცა მანამდეც ვიცოდი, რომ ეს დიდი და ძალიან წარმატებული კლუბია, მდიდარი ისტორიით.

ვფიქრობ, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ჩვენ მოვხვდებით. ვნახე გუნდის მატჩები და მართლა კარგად ვთამაშობთ.

ვიცნობ ცრვენა ზვეზდას ლამის ყველა ფეხბურთელს. მათ კარგად მიმიღეს. ბრწყინვალე გუნდი გვყავს და მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. როდიჩი ძალიან კარგი ფეხბურთელია, რომელსაც ცრვენა ზვეზდაში ბევრი მატჩი აქვს ჩატარებული. დარწმუნებული ვარ, მისგან ბევრს ვისწავლი და ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვექნება.

ჩემთვის ცნობილია დეიან სტანკოვიჩის კარიერის შესახებაც. ის ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო, ახლა კი, უკვე შეიძლება ითქვას, ფენომენური მწვრთნელიცაა. მინდა, მისგან ვისწავლო და რაც შეიძლება ბევრი რჩევა მივიღო.

აზაროვის ტრანსფერში რამდენიმე საინტერესო დეტალია: თურქეთის ჩემპიონი ტრაბზონი აზაროვის სანაცვლოს მილიონ ევროს იხდიდა, მაგრამ ითქვა, ბათუმელებს სატრანსფერო თანხაზე ვერ შეუთანხმდაო. ახლა კი ფეხბურთელი, რომლის ოსტატობაც შარშანდელთან შედარებით ამაღლებულია, სერბებს 300.000-სად დაუთმეს; კიდევ ის, რომ ცრვენა ზვეზდას სპონსორი რუსული გაზპრომია და აზაროვს მთელი სეზონი ამ წარწერით მოუწევს თამაში.

შედეგები

7 აგვისტო

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ლესტერი-ბრენტფორდი 2:2
მანჩესტერი-ბრაიტონი 1:2
ვესტ ჰემი-სიტი 0:2

გერმანია. ბუნდესლიგა

შტუტგარტი-ლაიფციგი 1:1
კიოლნი-შალკე 3:1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-დარმშტადი 0:1
კაიზერი-ზ.პაული 2:1
მაგდებურგი-კილი 1:2

საფრანგეთი. ლიგა 1

ტულუზა-ნიცა 1:1
ანჟე-ნანტი 0:0
ლანსი-ბრესტი 3:2
ლილი-ოსერი 4:1
მონპელიე-ტრუა 3:2
რენი-ლორიანი 0:1
მარსელი-რეიმსი 4:1

ნიდერლანდები. ეროვნული ლიგა

გრონინგენი-ვოლენდამი 2:2
ვიტესი-ფეინოორდი 2:5
ნაიმეგენი-ტვენტე 0:1
ალკმაარი-იგლზი 2:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სანტა კლარა-კასა პია 0:0
ბრაგა-სპორტინგი 3:3
პორტიმონენშე-ბოავიშტა 0:1
შავიში-გიმარაეში 0:1

ბელგია. ა დივიზიონი

სტანდარდი-სერკლი 2:0
გენტი-ვესტერლო 2:1
ანდერლეხტი-სერენი 3:1
ანტვერპენი-ლეუვენი 4:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

ტიროლი-კლაგენფურტი 2:2
ალტახი-აუსტრია 3:2
რაპიდი-ლუშტენაუ 1:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

ჰიბერნიანი-ჰარტსი 1:1
დ.იუნაიტედი-ლივინგსტონი 0:1

თურქეთი. სუპერლიგა

გირესუნი-ადანა 2:3
ქარაგუმრუქი-ალანია 2:4
ანთალია-გალათასარაი 0:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ციურიხი-სიონი 0:3
ბაზელი-იანგ ბოიზი 0:0
ლუგანო-ლუცერნი 1:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

ჩესკე-სპარტა 0:2
ბოლესლავი-იაბლონეცი 2:2
სლოვაკეთ-ჭრადეც კრალოვე 1:0
სლავია-ზლინი 4:1

პოლონეთი. ექსტრაკლასი

ვარტა-პოგონი 1:2
ზაგლებიე-ლეხი 1:1
გურნიკი-ჩენსტოხოვა 1:0

უნგრეთი. 1 დივიზიონი

კიშვარდა-მეზეკოვეშდი 4:2
პუშ.აკადემია-უიპეშტი 2:0
ფეჰერვარი-ჰონვედი 4:0

ფეჰერვარის მე-4 გოლი ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა

დანია. სუპერლიგა

კოპენჰაგენი-ბრონდბიუ 4:1
ოდენსე-ორხუსი 1:2

შვედეთი. ალსვენსკა

კალმარი-აიკი 1:0
სირიუსი-მალმიო 2:1
ჰამარბი-სუნდსვალი 3:0
ვერნამო-დიურგარდენი 0:0
მიალბი-ელფსბორგი 1:1

ნორვეგია. ელიტასერია

კრისტიანსუნი-მიოლდე 2:3
ლილესტრიომი-ტრომსო 1:1
სანდერფიორდი-ვიკინგი 2:2
სტრომგოდსეტი-სარპსბორგი 3:1
ჰაუგესუნდი-ერვი 3:1
ვალერენგა-ალესუნი 4:0

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

რაგბის კავშირი ფორმატს ცვლის

საქართველოს რაგბის კავშირი (სრკ) 2022-23 წლების სეზონს იწყებს. დიდი 10-ის გათამაშება წელს შეცვლილი ფორმატით ჩატარდება.

სეზონი 2 სექტემბერს დაიწყება. ცვლილება კი ის იქნება, რომ სრკ-ს გადაწყვეტილებით, 2023-24 წლებში დიდი 10-ის გათამაშებისთვის მონაწილეთა რაოდენობა 8 გუნდამდე შემცირდება. რაგბის კავშირის ხელმძღვანელობით თქმით, მიზანი შიდა ჩემპიონატის დონის ამაღლებაა.

2022-23 წლების დიდი 10-ის გათამაშებაში შემდეგი გუნდები მიიღებენ მონაწილეობას: ბათუმი, ყოჩები (ბოლნისი), ხარები (რუსთავი), ლელო-სარასენსი (თბილისი), აკადემია (თბილისი), აია (ქუთაისი), ლოკომოტივი (თბილისი), არესი (ქუთაისი), ყაზბეგი (სტეფანწმინდა), ხვამლი (თბილისი).

ჩემპიონატი 2 ეტაპად გაიმართება. პირველი ეტაპი, იგივე რეგულარული გათამაშება, 2 წრედ, მიმოსვლით (18 ტურად) ჩატარდება. მისი დასრულების შემდეგ, 6 მოწინავე კლუბი საჩემპიონო ფლეი ოფში, რომელიც, გასული ჩემპიონატის მსგავსად, 4 ტურად ჩატარდება.

პირველ ტურში მესამეადგილოსანი – მეექვსეს, ხოლო მეოთხეადგილოსანი მეხუთეს უმასპინძლებს და გამარჯვებულები მეორე ეტაპზე გავლენ, დამარცხებულები კი ჩემპიონატს ემშვიდობებიან. პირველ ტურში 2 მოწინავე გუნდი ისვენებს.

ფლეი ოფის მე-2 ტურში, შესარჩევ ფინალში, რეგულარული გათამაშების პირველადგილოსანი მეორეადგილოსანს დაუხვდება და გამარჯვებული დიდ ფინალში გავა (შესაბამისად, მესამე ტურში დაისვენებს), წაგებული კი წინასწარ ფინალში ითამაშებს. ამავე ტურში (გასავარდნ ფინალში) პირველი ტურის გამარჯვებულები ერთმანეთს უკეთესი ნომრის მქონე გუნდის მოედანზე შეხვდებიან და მოგებული წინასწარ ფინალში გავა, წაგებული კი ჩემპიონატს დაემშვიდობება.

მე-3 ტურში შესარჩევ ფინალში წაგებული გუნდი გასავარდნ ფინალში მოგებულს უმასპინძლებს და გამარჯვებული ფინალის საგზურს მიიღებს, ხოლო დამარცხებული ჩემპიონატს მე-3 ადგილზე ასრულებს. დიდი ფინალი რაგბის კავშირის მიერ წინასწარ შერჩეულ სტადიონზე გაიმართება.

რაც შეეხება დაქვეითებას, დიდ 10-ს პირდაპირ დატოვებენ რეგულარულ გათამაშებაში 9-10 ადგილზე გასული გუნდები. 2023-24 წლების დიდი 10-ის საგზურებისთვის, მერვეადგილოსანი პირველი ლიგის გამარჯვებულს შეხვდება, ხოლო მეშვიდეადგილოსანი პირველი ლიგის მეორეადგილოსანს ეთამაშება. მატჩები ერთრაუნდიანია და პირველლიგელთა მოედანზე გაიმართება.

პირველი ლიგა 16 სექტემბერს დაიწყება. 2022-23 წლების გათამაშებაში იუნკერები (კიკეთი), ტაო (სამცხეჯავახეთი), არმია (თბილისი), არწივები (ოზურგეთი), არმაზი (მარნეული), ბაგრატი (ქუთაისი), ვეფხვები (პატარძეული), ბორჯომი (ბორჯომი), ჯიქი (გორი), მათე (ჭიათურა) ითამაშებენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 2. კანიონი ხონის რაიონში; 3. ტაძარი ქუთაისში; 4. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი; 5. არგენტინის ნაკრებისა და პარიზის „პსჟ“-ს ფეხბურთელი; 6. სასამართლო განაჩენის გასაჩივრება; 9. მკურნალობა სისხლის გადასხმით; 10. მარიონეტების ქართული თეატრის ფუძემდებელი; 11. აფხაზეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 14. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების ნაწილი; 18. გურიაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 20. ქართული ხალხური საგმირო-პატრიოტული სიმღერა; 23. ადამიანის გარემომცველი ბიოველი; 24. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; 25. პირველი ახლადმოსული თოვლი; 26. საფრანგეთის კოსმოდრომი სამხრეთ ამერიკაში.

თარაზულად: 7. აჭარული ცეკვა; 8. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 12. შოკოლადის ხე; 13. ცხენის ნაშიერი; 15. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 17. საფოსტო გზავნილება; 19. კუბის ფორმის მქონე წმინდა მეჩეთი მექაში; 21. ზოდიაქოს ნიშანი; 22. მტაცებელი ფრინველი; 27. ნახატის, წარწერის ამოკვეთა ლითონზე, ხეზე ან ქვაზე; 28. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დაკა; 2. პრესა; 3. გუაში; 5. სეგუნი; 6. ლემბერგი; 9. ლოსაბერიძე; 10. მირანგულა; 11. დილიჟანსი; 14. შოუ; 16. ოსტინი; 18. წათე.

თარაზულად: 1. დნეპრი; 4. პასკვილი; 7. ძელქვა; 8. შერბური; 12. ასასი; 13. უშქარი; 15. ბატუტი; 17. ერი; 19. მანსანარესი; 20. ჰერტა; 21. მეტეხი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შაირი; 2. ყველი; 3. ანორაკი; 4. დოღი; 5. ცემი; 6. სტაიერი; 9. საგინაშვილი; 10. აშპაშხანა; 11. კურვუაზიე; 14. იახტა; 16. აკინი; 18. ფაიზერი; 20. რაზდანი; 23. აუდი; 24. თართი; 25. ფრეზა; 26. ბოტი.

თარაზულად: 7. ანთოლოგია; 8. რეზერვატი; 12. მარშო; 13. მურეი; 15. ელისო; 17. ხორნაბუჯი; 19. რევიუ; 21. სიონი; 22. კიაზო; 27. ტრუბადური; 28. რესტორანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7141	ევრო — 2.7662
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2835	100 რუსული რუბლი — 4.5071

ამინდის პროგნოზი 9 აგვისტოსათვის

ლევანდოვსკიმ ბარსელონაში პირველი გოლი გაიტანა



რობერტ ლევანდოვსკიმ ბარსელონის შემადგენლობაში პირველი გოლის გატანა შეძლო და მან ეს გამპერის თასზე, პუმასის წინააღმდეგ გააკეთა. გოლის გარდა, პოლონელმა ფორვარდმა ორი საგოლე პასის გაკეთებაც შეძლო. მატჩის შემდეგ რობერტმა განაცხადა, რომ ის თანდათან შედის ოპტიმალურ ფორმაში და ესპანეთის ჩემპიონატის დაწყებას მოუთმენლად ელოდება.

სპალეტიმ ხვიჩა კვარაცხელიაზე ისაუბრა

ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა ლუჩიანო სპალეტიმ ხვიჩა კვარაცხელიაზე ისაუბრა და თქვა, რომ ქართველი შემტევი ძალიან მონდომებულია და ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება. გარდა ამისა, სპალეტიმ აღნიშნა, რომ ხვიჩას აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა და ის ყოველთვის ცდილობს, გუნდს მაქსიმალური სარგებლობა მოუტანოს.



იურგენ კლოპი: „სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს“

ლივერპულმა ინგლისის ჩემპიონატის პირველი შეხვედრის მოგება ვერ შეძლო და იურგენ კლოპმა ამ თემაზე კომენტარიც გააკეთა. კლოპის თქმით, ლივერპული ვალდებულია, უკეთესი თამაში აჩვენოს: „ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ საუკეთესო ფორმაში და, იმედი მაქვს, რომ მალე ეს მოცემულობა შეიცვლება. ლივერპული მხოლოდ პირველობისთვის იბრძვის და ჩვენ სხვა მიზანი არ გვაქვს“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს დასტირის:

– აშოტ, როგორ შეგეძლო ამ ახალი სკამის გატეხა, როგორ შეგეძლო ამ ახალი „ლუსტრის“ გატეხა. არა, ჩემი გული ამას ვერ გაუძლებს. არ შეგეძლო თავი სხვაგან ჩამოგეხრჩო?

●●●

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემ ცოლს მოფერებით ჩემო ყურცქვიტავ, ჩემო კალმახო, ჩემო ჩიტუნიავ, ვეძახი...

– და ის რითი გპასუხობს?

– ყურებს დაცქვეტს, თვალებს დააჭყეტს და ნისკარტს დააფჩენს..

●●●

მოსამართლე ბრალდებულს მიმართავს:

– ბრალდებულო, სულ მუდამ ჩუმად რატომ ზიხარ?

– დუმილი ოქროა, ბატონო მოსამართლევ.

– საიდან ამდენი ოქრო?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ძველად რომში ზოგიერთ მონას მონის ყოლის უფლებას აძლევდნენ.

– ჰო, ახლა მაგას საშუალო რგოლის მენეჯერი ჰქვია.

●●●

მამაკაცი ქალს ეუბნება:

– თქვენი ტელეფონი მომეცით:

– ოჰ, რა სულსწრაფი ხართ, ეს რა, ერთი ნახვით შეყვარებაა?

– არა, ძარცვა!

●●●

მამაკაცებისთვის ცხოვრება ზებრასავითაა: შავგვრემანი, ქერათმიანი!

ქალებისთვის ზოოპარკივით: ვირი, ირემი, ცხვარი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლადო ბურდულის ოჯახში მატებაა

მუსიკოს ლადო ბურდულის ოჯახში ბედნიერი წუთებია. მის ოჯახს პაწაწინა გოგონა – მაწილდა-მარინე მოჰნერტი შეემატა. მომღერლის შვილმა, თეჯი ბურდულმა, ულამაზესი გოგონა გააჩინა:

– ჩვენს ოჯახს შეემატა კიდევ ერთი ულამაზესი და უმშვენიერესი წევრი მაწილდა-მარინე მოჰნერტი.

გილოცავთ, ჩვენო უსაყვარლესო თეჯიკო.

ბერლინი 7.08.22.

მაია ბარათაშვილი ბელგიაში კონცერტს გამართავს

ჯაზმომღერალი მაია ბარათაშვილი ბელგიაში კონცერტს გამართავს.

19 ნოემბერს მთავარ ტაძარში ჯაზის საღამო გაიმართება, სადაც ქართველი მომღერალი შეკრებილი მსმენელის წინაშე გიორგი რაქვიაშვილთან ერთად წარდგება.

მაია ბარათაშვილი და გიორგი რაქვიაშვილი კონცერტისთვის განსაკუთრებულად ემზადებიან და მსმენელს დაუვიწყარ საღამოს ჰპირდებიან.

ალექსანდრა პაიჭაძემ და თეონა ლეჟავამ გადაცემა „ქალები“ დატოვეს

გადაცემა „ქალების“ სეზონი ტელეკომპანია „ფორმულაზე“ დასრულდა. სეზონის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ახალი სეზონიდან ალექსანდრა პაიჭაძე და თეონა ლეჟავა მისი წამყვანები აღარ იქნებიან. ნანუკა გულუა და სალომე შარვაძე გადაცემას ახალი სეზონიდან გაუძღვებიან, თუმცა, ვინ შეცვლის ალექსანდრასა და თეონას, ეს ჯერჯერობით უცნობია.

ინფორმაცია გადაცემის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– „ქალების“ სეზონი დამთავრდა. მადლობა თითოეულ ჩვენს მაყურებელს.

სექტემბრიდან გელოდებით ძალიან დიდი ახალი ამბებით, მანამდე კი ამ პოსტერს ვტოვებთ მთავარ ინტრიგად: ვის ნახვას ისურვებდით ახალ წამყვანებად?

ნანუკა გულუა, გადაცემა „ქალების“ წამყვანი:

– როცა გულის ხეთქვამდე მწყდება გული, ვცდილობ, არ ვიფიქრო, გავატარო და დავაიგნორო ამის გამომწვევი მიზეზი, მაგრამ ვერ გავუშვებ გოგონებს ჩემი სურვილების გარეშე! ალექსანდრა პაიჭაძე – ჩემო სიყვარულო, ყველა ჩანაფიქრი და ოცნება აგისრულდეს, მინდა, ყველა დასახულ მიზანს მიაღწიო და ისიამოვნო შენი ახდენილი ოცნებებით. დიდი მადლობა ყველა წამისთვის, რომელიც მხოლოდ მაბედნიერებს. თეონა ლეჟავა – რასაც უნდა მიაღწიო, ჩემთვის მაინც ცოტა იქნება, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხარ და ძალიან მინდა, იზეიმოს შენმა ნიჭმა იქ, სადაც გულით გინდა. სალომე შარვაძე – მინდა, ვუსურვო ჩვენს თავებს უფრო მეტი და მეტი წარმატება.

პ.ს. მგონი, ვაჩენ. ჩქარ-ჩქარა ვწერ.

სალომე შარვაძე, გადაცემა „ქალების“ წამყვანი:

– ახალი სეზონიდან „ქალები“ ორი ახალი წამყვანით დაბრუნდება. უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეგობრებს თეონა ლეჟავასა და ალექსანდრა პაიჭაძეს პარტნიორობისთვის, მეგობრობისთვის, სიყვარულისთვის. ძალიან დამაკლდებით და ძალიან მიყვარხართ. წარმატებას გისურვებთ ყველგან და ყველაფერში.

ლილი იოსელიანის 100 წლის იუბილეს წიგნი-ალბომი მიეძღვნება

რეჟისორისა და პედაგოგის ლილი იოსელიანის 100 წლის იუბილეს სპეციალური წიგნი-ალბომი მიეძღვნება.

ინფორმაცია რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა გაავრცელა:

– ლილი იოსელიანი 100 – მალე საიუბილეო წიგნი-ალბომი!

ყველანაირი კრიზისისა და განსაკუთრებით ხელოვნების კრიზისის თავიდათავი ზნეობის დეფიციტია, სულიერი კრიზისია, როდესაც ქვეყნები, ერი, მოქალაქეები ყოველდღიური ყოფის მოწესრიგებისა და ფიზიოლოგიური გადარჩენისათვის იბრძვიან, კრიზისი დგება, გადარჩენის გზები კი ამხელს ცალკეული ადამიანებისა და ერების ზნეობის ხარისხს. შექსპირი ამბობს: „არ არსებობს ისეთი უბადრუკად საშინელი დრო და ცხოვრება, როდესაც ადამიანს თავისი კაცობის გამოჩენა არ შეუძლია“. ასეთი კრიზისის დროს თითო-ოროლა ადამიანი არ ღალატობს ზნეობრივ მრწამსს და მაგალითს იძლევა საზოგადოებისათვის თავისი ცხოვრების წესით, თუმცა ამ უკანასკნელსაც უნდა შეეძლოს მაგალითის მიღება და დანახვა...

ასეთი ადამიანების მოძიება კი დღეს გართულდა, რადგან სიკეთე მარტო დაწანწალებს დედამიწაზე.

თუ გინდა, კონკრეტულ ადამიანად გარდაიქმნა, გარკვეული ცოდნა და პროფესიონალიზმია საჭირო. ბუნებრიობის მიღწევისათვის სცენაზე დაცულ უნდა იქნეს რაღაც საერთო კანონზომიერება. ეს არის მიზანი პროფესიონალიზმისაკენ სწრაფვისა. ხელოვნების ნაწარმოები ხომ ცხოვრების კანონებით იქმნება. თუ ეს დარღვეულია, მაშინ საქმე გვაქვს ხელოსნობასთან. პროფესიონალიზმი მსახიობს იცავს, შექსპირის სიტყვებით თუ ვიტყვით – „დაჟანგვისაგან“.

მე ვერ ვიტყვი, რომ თეატრალურ ინსტიტუტში ახლა უფრო ნაკლებნიჭიერი თაობა იყოს. შემოქმედება სულის მუშაობაა – პედაგოგის მიზანიც სულიერების მიგნებაა. ეს ძალიან ძნელი, სკრუპულოზური პროცესია, რომელიც მძლავრობით გამორიცხულია, თუ თავად სტუდენტში არ დაიბადა სულიერების გაძლიერების სურვილი. მარჯანიშვილელთა ლეგენდარული თაობის წარმომადგენლებს გავაცნობიერებინე ის, რასაც ისინი ინტუიციითა და ტალანტით აკეთებდნენ. ამას დიდი შრომა და წვალება სჭირდება, მაგრამ ბავშვიც ხომ წვალებაში იბადება? ამ დიდი წვალების უნარი ყველას არა აქვს. ახალგაზრდობიდანვე, უამრავ ცხოვრებისეულ წვალებაში გამოწვრთნილს, სხვაზე მეტი მოთმინების უნარი რომ გამომაჩნდა, ალბათ, იმიტომ გამოვჩნდი პედაგოგიკაში სხვაზე მეტად წარმატებულად. ჩემზე ნიჭიერ და ღირსეულ ადამიანებს ნებისყოფა არ ჰყოფნით, ან გზები არ იციან, როგორ უნდა მოიძიონ მომავალი შემოქმედის სულიერი ძალები.

დღეს რეჟისურაში თვითმიზნად იქცა მეტაფორა. ხშირად ცალსახა მეტაფორების (რომლებიც აპრიმიტიულებენ ნაწარმოებებს) ანაბარადაა თანამედროვე თეატრის წარმოდგენები.

ქართული ბუნება, გამომდინარე სხვადასხვა კუთხის ხასიათთა ლანდშაფტიდან, არტისტულია. ქართველი თავის თავს იგონებს, თხზავს და ხშირად ავიწყდება თავისივე შეთხზული ვითარება. თუ პროფესიონალიზმზე არ ვიფიქრეთ, დილეტანტიზმი შეგვმუსრავს ყველა სფეროში. თეატრმცოდნეები და ჟურნალისტები „პროკურორებივით“ ეპყრობიან ხელოვნების ნაწარმოებებს. არ შეიძლება, პირადი სუბიექტური მოსაზრებებით ბრალს სდებდნენ ადამიანს იმაში, რომ ის ასე ხედავს. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო მსახიობთა შეფასებისას. მსახიობს უნდა მისცე კეთილგანწყობილი შენიშვნა, რათა პრემიერაზე „დაბადებული“ სახე გაზარდოს, გააჯანსაღოს და სრულყოფამდე მიიყვანოს.

დაუშვებელია ჟურნალისტიკაში შემოჭრილი „კლანური სექტანტიზმი“, ანუ დღეს „ძლიერს“ უკან ამოფარება.

და საერთოდ, ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული პიროვნულობით, არ ექვემდებარებიან ზოგად სტანდარტებს, უფრო გამეტებულნი არიან საზოგადოებისაგან. ჩვენი ტრაგედია იმაშია, რომ მეოცნებე ადამიანს უფრო ადვილად დასჯიან და გაიმეტებენ, ვიდრე ბოროტმოქმედს... – ლილი იოსელიანი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 აგვისტოსათვის

ვერძი – ეს დღე უკავშირდება კოსმოსური ენერგიის ათვისებას, დასვენებას, სულიერი წონასწორობის აღდგენას. **კურო** – ნებისმიერი საქმე დიდ ძალისხმევასა და დროს მოითხოვს, თუმცა მიზანს წარმატებით აღწევთ. **ტყუპები** – იზრდება თქვენი მომხიბვლელობა, რომელიც საკმაოდ კარგ სამსახურს გაგიწევთ. ნუ იქნებით სწორხაზოვანი. **კირჩხიბი** – სამოგზაუროდ წასვლა უნდა გადადოთ. შემოქმედებითი აღმაფრენა გეწვევათ. იცვლება მატერიალური მდგომარეობა. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა მეგობრებთან ურთიერთობისათვის, შემოქმედებითი ძიებისათვის. იყავით მობილიზებული. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან მოლაპარაკებები გაგიჭირდებათ. მოსალოდნელია ფინანსური პრობლემები. **სასწორი** – საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. ნებისმიერი ქცევა აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – ფინანსური ოპერაციებისათვის ხელსაყრელი პერიოდია. ოჯახში სიტუაცია იძაბება, რაც თქვენი ბრალია. **მშვილდოსანი** – ბევრს ნუ იმუშავებთ. განტვირთვისათვის ბუნებაში გასვლა ან ბაღში საქმიანობა წაგადგებათ. **თხის რქა** – საქმიანი შეხვედრები დღეს მიზანშეწონილი არ არის. ცრუ ინფორმაცია ნერვებს მოგიშლით. **მერწყული** – ნეგატიური დღეა. ახლობლებთან უსიამოვნო საუბარი გელით. გაუფრთხილდით ფინანსებს. **თევზები** – ნებისმიერ პრობლემას ცივი გონებით გადაჭრით. ემოციების აყოლა დღეს დაუშვებელია.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი მოკრივე; 2. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 5. დიდი სამგზავრო-სატრანსპორტო გემი; 6. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. სახელმწიფო წყობილების ერთი ფორმა; 11. საქართველოს ეროვნული გმირი ქალი; 14. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 16. ჩოგბურთის ფუძემდებელი საქართველოში; 18. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი უნგრელი მხატვარი.

თარაზულად: 1. ინდიელთა სოფლების სახელწოდება მექსიკაში; 4. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 7. კოლუმბიის დედაქალაქი; 8. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 12. ფულის ერთეული ყაზახეთში; 13. ჩვილი ბავშვის საწოლი; 15. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 17. რაიმე საქმეში შეტანილი წილი; 19. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 20. კვების გარკვეული რეჟიმი; 21. იაპონური ავტომობილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა